პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი, 28 ნოემბერი, 1942 წ. № 282 (6598). ფასი 15 კაპ.

ზრუნვა მშრომელთა საყოფაცხოვრებო საჭიროებისათვის

ზრუნვა საბჭოთა ადამიანისათვის, მის საარსებო კულტურულ-საყოფაცხოვრებო საჭიროებათა დაკმაყოფილებისათვის მუდამ მოქცეული იყო ჩვენი პარტიისა და მთავრობის ყურადღების ცენტრში. ამ ზრუნვას საბჭოთა ადამიანები გრძნობენ ახლაც, მიუხედავად იმ სიძნელეებისა, რაც საომარ ვითარებასთან არის დაკავშირებული. ადგილობრივი ორგანიზაციების ვალია ყოველმხრივ გააფართოონ ეს ზრუნვა. თითოეულ რესპუბლიკაში, ოლქსა თუ მხარეში ბევრია დაუშრეტელი რესურსები და შესაძლებლობანი, რომელთა გამოყენება საშუალებას გვაძლევს განუწყვეტლივ ვაუმჯობესოთ მშრომელთა მომსახურება. მაგალითად, სარატოვის ოლქში ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებმა ამა წლის ათი თვის განმავლობაში რვაჯერ უფრო მეტი საპონი გამოუშვეს, ვიდრე გასულ წელს. დიდი ყურადღება ექცევა საბავშვო დაწესებულებებს უზბეკეთში, ნოვოსიბირსკის, კუიბიშევის ოლქებში.

ხოლო არიან ისეთი ხელმძღვანელებიც, რომლებიც ძალიან ბევრს ლაპარაკობენ მშრომელთა მომსახურების შესახებ, მაგრამ ამ დარგში პრაქტიკულად ძალიან ცოტას აკეთებენ, იმიზეზებენ რა იმას, რომ ახლა ომია, მაგისთვის სად გვცალიაო. ამ ადამიანებს არ ესმით, რომ ომის დღეებში ისინი, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანები, მოვალენი არიან იმუშაონ უფრო უკეთესად, ვიდრე მშვიდობიანობის დროს. ცუდი ხელმძღვანელებისათვის ომი გახდა თავისებურ შირმად, რომლის იქითაც ისინი ცდილობენ დაჰფარონ თავიანთი უსაქმურობა, უნიათობა, უთაურობა.

ჩვენს ქვეყანაში ამჟამად მრეწველობის მძაფრი ზრდა სწარმოებს. მრეწველობაში ასიათასობით მოვიდნენ ახალი მუშები — ქალები და კაცები. სახელმწიფოს, რომელიც იძულებულია დიდი სახსრები ხარჯოს თავდაცვისათვის, ასეთ დროს, ცხადია, არ შეუძლია მუშათა ახალი შევსება უზრუნველჰყოს ცალკე ბინებით. მაშასადამე, საჭიროა გავაფართოოთ საერთო საცხოვრებლები, გონივრულად ჩავასახლოთ იქ ადამიანები, დავიცვათ საერთო საცხოვრებლებში სანიმუშო წესრიგი, უზრუნველვყოთ ისინი ავეჯით, საწოლებით, ლეიბებით, ლოგინით. განა ეს ასე ძნელია? კიროვის ქარხანაში კი, მის ხელმძღვანელთა მიზეზით, მთელი რიგი საერთო საცხოვრებლები თავმინებებულია. საჭირო გახდა ცენტრალური ორგანიზაციების ჩარევა, რომ მდგომარეობა გამოსწორებულიყო. განა ეს სამარცხვინო არ არის ადგილობრივი პროფკავშირული და პარტიული ორგანიზაციებისათვის და განა ეს ფაქტი არ ამხილებს მათ იმაში, რომ მათ, არსებითად, თავი აარიდეს თავიანთ უმნიშვნელოვანეს მოვალეობებს?

ომიანობის დროს ბევრად გაიზარდა საზოგადოებრივი კვების როლი. ფაბრიკა-ქარხნებში შესული ახალგაზრდობა სახლში არ იკვებება. იგი სარგებლობს სასადილოებით, ისევე როგორც ბევრი მუშა ქალი, რომლებსაც მუშაობა შესაძლებლობას არ აძლევს იდიასახლისონ. აი სწორედ ამას უნდა მიაქციონ მაქსიმალური ყურადღება ადგილობრივმა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა. სახელმწიფო იძლევა პროდუქტებს მუშათა მოსამარაგებლად. მრავალ საწარმოში შექმნილია მუშათა მომარაგების განყოფილებანი მძლავრი დამხმარე მეურნეობებით, რომლებშიც წელს უხვი მოსავალი აიღეს. ყველა პირობები არსებობს იმისათვის, რომ მოეწყოს მშრომელთა ნორმალური კვება. მაგრამ საზოგადოებრივი კვება ყველგან როდი აკმაყოფილებს მომხმარებლებს. მთელ რიგ ადგილებში სასადილოების რაოდენობა არ გაუდიდებიათ, იქ არ არის პატრონის თვალი, არ არის წესრიგი და სისუფთავე, ზოგჯერ აკლიათ ჭურჭელი, კოვზები, ჩანგლები. სადილის მიღების მოლოდინში მუშები ხშირად ძვირფას დროს ხარჯავენ.

მუშათა მომარაგების განყოფილებების შექმნა არ არის ფორმალური ღონისძიება, არ არის მუშათა მომარაგების საქმის მექანიკური გადაცემა ერთი ხელიდან მეორეში. მთავრობამ ნება დართო საწარმოებს მოეწყოთ მუშათა მომარაგების განყოფილებანი ერთადერთი მიზნით — უფრო უკეთესად გაეწიათ მომსახურება მუშა მომხმარებლისათვის. მაშასადამე, მუშათა მომარაგების განყოფილება წარმოადგენს ქარხნის ერთ-ერთ საამქროს, რომელზეც დირექტორი მოვალეა იზრუნოს ისევე, როგორც საწარმოო საამქროებზე. თუ საამქროში შრომა ცუდად არის მოწყობილი, ეს აღელვებს ქარხნის ხელმძღვანელებს. მაშ რათ იწყნარებენ ისინი სასადილოს სალაროსთან გამართულ რიგებს, როდესაც სულ უბრალო ღონისძიებას, ვთქვათ სადილის ტალონების წინასწარ გაყიდვას, შეუძლია ბოლო მოუღოს ამ რიგებს. მაშ დაუსჯელი რათ რჩება დატაცება, წონა-ზომაში მომხმარებელთა მოტყუების შემთხვევები, როგორც ეს ამას წინად აღმოჩენილ იქნა ქარხანაში, რომელსაც ამხ. კომაროვი ხელმძღვანელობს, სადაც მუშა მომხმარებელს უტიფრად ქურდავდნენ.

საზოგადოებრივი კვების მუშაკები მონაწილეობენ სრულიად-საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში. მაგრამ ეს ამოცანები სწორად არ ესმით მათ, ვინც ფიქრობს, რომ საქმე მხოლოდ გასაცემი სადილების გეგმით დაწესებული რაოდენობის გადამეტებით შესრულებაა. არსებული სასურსათო რესურსები შესაძლებლობას გვაძლევენ ისე ვკვებოთ მუშები, რომ ისინი მომსახურებით კმაყოფილნი იყვნენ. სინამდვილეში კი ხშირად ხდება, რომ ერთიდაიმავე პროდუქტებით ერთი სასადილო გემრიელ კერძებს ამზადებს, მეორე კი, არსებითად, აფუჭებს პროდუქტებს, აფუჭებს და ამავე დროს ომის სიძნელეებს იმიზეზებს. სიძნელეები ცოტა როდია ყოველ საწარმოში, მაგრამ ათასობით ქარხნების კოლექტივები მაინც წინ მიდიან, იბრძვიან უფრო უკეთესი, მათ შორის ხარისხობრივი მაჩვენებლებისათვის, საპატიო დროშების მიღების ღირსნი ხდებიან. მაშ ასე რათ იხევს უკან სიძნელეების წინაშე საზოგადოებრივი კვების ბევრი მუშაკი? ან იქნებ მათ ავიწყდებათ, რომ მუშებთან, ოსტატებთან, ინჟინრებთან ერთად მონაწილეობენ ფრონტისათვის საჭურვლისა და საომარი მასალების გამოშვებაში?

საკ. კ. პ. (ბოლშევიკების) მოსკოვის ორგანიზაციის პარტიული აქტივის კრებამ, რომელიც ამ დღეებში შესდგა, სერიოზული ყურადღება მიაქცია მშრომელთა საყოფაცხოვრებო საჭიროებათათვის ზრუნვის გაძლიერებასთან დაკავშირებულ საკითხებს. აქტივის კრებამ პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელებს დაავალა მუდამ იმუშაონ მშრომელთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაზე.

პარტიული, სამეურნეო და განსაკუთრებით პროფკავშირული ორგანიზაციები მოვალენი არიან შეიტანონ წესრიგი სასადილოებსა და ბუფეტებში. პროფკავშირული მუშაკები ხალისით გამოდიან მაღალფარდოვანი სიტყვებით საპატიო დროშების გადაცემის ზეიმებზე და ძალიან ცოტა ყურადღებას უთმობენ სამზარეულოების, სასადილოების მუშაობას, თუმცა, თითქოს, მუშათა ყოფაცხოვრებისათვის ზრუნვა მათ ძირითად მოვალეობას შეადგენს. ხოლო რა დიდი რეალური სარგებლობის მოტანა შეეძლებოდათ მათ, უფრო ხშირად რომ შეიხედავდნენ ხოლმე საწყობებში, სადაც პროდუქტები ინახება, სამზარეულოებში, დამხმარე მეურნეობის ბოსტნებში. საქარხნო კომიტეტის რა თავმჯდომარეა ის თავმჯდომარე, რომელიც გულდამშვიდებით შეჰყურებს სასადილოში გამართულ რიგებს და მხედველობაში არ იღებს იმას, რომ მუშისათვის დრო — იარაღია. რა პროფკავშირული მუშაკია ის მუშაკი, რომელსაც არ აინტერესებს თავისი ქარხნის აბანოს, სამრეცხაოს, საპარიკმახეროს, პოლიკლინიკის მუშაობა.

ყველაფერი, რაც კი მუშათა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურებასთან არის დაკავშირებული, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა მხედველობის არეში უნდა იყოს.

მაგალითად, ჩელიაბინსკში, როგორც „პრავდის" კორესპონდენტი იუწყება, ძალიან ცუდად მუშაობს ქალაქის ტრამვაი. ნუთუ ამის შესახებ არ იციან პარტიის ჩელიაბინსკის საქალაქო კომიტეტმა, საქალაქო საბჭომ, ადგილობრივმა პროფკავშირულმა მუშაკებმა? ესმით თუ არა მათ თავიანთი პასუხისმგებლობა ფრონტის იმ დაკვეთათა შესრულების მიმდინარეობისათვის, რომლებიც ადგილობრივ საწარმოებში მზადდება? მათთვის ნათელია თუ არა, რომ ტრანსპორტის უწესო მუშაობა ანერვიულებს მუშებს, ართმევს მათ საკმაოდ ბევრ ძალასა და დროს, რაც მათ უნდათ მოახმარონ წარმოებას.

ადგილობრივი საბჭოთა, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციების მოვალეობებში შედის ზრუნვა მოსახლეობის სხვა საყოფაცხოვრებო საჭიროებათათვისაც. ეს არის ადგილობრივი მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის საწარმოებში ფართო მოხმარების საქონლის გამოშვების გადიდება, ეს არის მოწყობა სამკერვალო-შესაკეთებელი სახელოსნოების ფართო ქსელისა, რომლებშიც სამუშაოდ შეიძლება მოზიდულ იქნან დიასახლისები და განსაკუთრებით სამამულო ომის ინვალიდები, ეს არის სასტუმროები, საავადმყოფოები, აბანოები, ყველაფერი, რაც კი ქალაქის მეურნეობის სისტემაში შედის და რაც ეხება მშრომელთა საარსებო ინტერესებს.

ადგილობრივ ორგანიზაციებს შეუძლიათ ჰქონდეთ თვით მოსახლეობის დახმარების იმედი, როგორც ეს გვიჩვენა მოსკოვისა და ლენინგრადის გამოცდილებამ, სადაც ასიათასობით მოქალაქეები მონაწილეობდნენ ზამთრისათვის მზადებაში.

ამ დღეებში, როდესაც ჩვენი ქვეყანა განიცდის სასიხარულო ამბებს, რაც ფრონტზე ხდება, საბჭოთა ადამიანები გრძნობენ ძალების ახალ მატებას, ახალ მძლავრ შრომითს აღფრთოვანებას, მისწრაფებას — კიდევ უფრო გააძლიერონ დახმარება წითელი არმიისადმი.

ადგილობრივმა ორგანიზაციებმა, რომლებსაც დაკისრებული აქვთ მშრომელთა კულტურულ - საყოფაცხოვრებო მომსახურება, მთელი ძალღონე უნდა მოახმარონ იმას, რომ საბჭოთა ადამიანებს შეეძლოთ იმუშაონ მაქსიმალური ნაყოფიერებით ფაშისტ ავაზაკებზე მომავალი გამარჯვებისათვის.

„პრავდის" მოწინავე, 27/XI.
(მიღებულია რადიოთი საქრადიოკომიტეტის მიერ).

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

27 ნოემბრის დილის ცნობა

26 ნოემბრის ღამის განმავლობაში ჩვენი ჯარები ქალ. სტალინგრადის რაიონში, სძლევდნენ რა მტრის წინააღმდეგობას, განაგრძობდნენ შეტევას წინანდელი მიმართულებებით.

* * *

ქალ. სტალინგრადის ჩრდილოეთ ნაწილში ჩვენმა მებრძოლებმა ფლანგებიდან დარტყმებით უკუაგდეს მოწინააღმდეგე და დაიკავეს 4 დიდი უბანი. გერმანელებმა 250-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგეს მოკლულთა სახით. ქარხნების რაიონში ჩვენი ნაწილები წინ მიიწევდნენ. ღამის განმავლობაში გაჟლეტილია მოწინააღმდეგის 700-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი.

* * *

სტალინგრადის ჩრდილო-დასავლეთით საბჭოთა ჯარები სძლევდნენ მტრის წინააღმდეგობას და წინ მიიწევდნენ. ერთ უბანზე ნაწილებმა, რომლებსაც მეთაურობენ ამხ. შეხტმანი და მერკულოვი, გაჟლიტეს მტრის ათასზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი, წამოიყვანეს მრავალი ტყვე და ხელთ იგდეს 3 ვარგისი თვითმფრინავი, 99 ქვემეხი, 3 ტანკი, 65 ტყვიამფრქვევი, 9 ნაღმსატყორცნი, 164 ავტომანქანა და 520 ველოსიპედი. სხვა უბანზე ჩვენმა ტანკისტებმა და ქვეითებმა მოსპეს მოწინააღმდეგის 66 ტანკი და 25 თვითმფრინავი. ჩვენი მებრძოლნი დაეუფლნენ ერთ სარკინიგზო ასაქცევს და ხელთ იგდეს მოწინააღმდეგის 19 ორთქლმავალი, 100 ვაგონი, 160 კასრი ბენზინი და რამდენიმე საწყობი სამხედრო ქონება. ცუდი ამინდის მიუხედავად, საბჭოთა მფრინავებს იერიშები მიჰქონდათ უკუქცეულ გერმანელთა ჯარებზე.

* * *

სტალინგრადის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები წარმატებითს შეტევითს ოპერაციებს ეწეოდნენ. ღამის ბრძოლებში მარტო ერთმა ჩვენმა შენაერთმა გაჟლიტა მტრის 600-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი, მოსპო 23 სატყვიამფრქვევო წერტი, 4 ქვემეხი, 5 ტანკი და 13 ავტომანქანა. ჩვენმა მებრძოლებმა გერმანელებს წაართვეს 6 ქვემეხი, 2 ჯავშნიანი მანქანა, 24 ტყვიამფრქვევი და სხვა ღავლა. წამოყვანილია მრავალი ტყვე.

* * *

ნალჩიკის სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩვენი ჯარები ამაგრებდნენ თავიანთ პოზიციებს და საბრძოლო დაზვერვას ეწეოდნენ. ერთ უბანზე არტილერიის ცეცხლით გაფანტულია და ნაწილობრივ მოსპობილია მტრის ერთ ასეულამდე ქვეითი ჯარი. სხვა უბანზე გერმანელმა მევტომატეებმა შემოაღწიეს ჩვენი თავდაცვის სიღრმეში. მტრის ყველა მევტომატე მოსპობილ იქნა, ხელთ ვიგდეთ 75 ავტომატი და 2 ტყვიამფრქვევი. ჩვენმა მფრინავებმა მოწინააღმდეგის აეროდრომზე მოსპეს გერმანელთა ორი თვითმფრინავი.

* * *

ჩრდილო-დასავლეთის ფრონტზე კანტიკუნტი საარტილერიო სროლა იყო. მებრძოლთა ჯგუფი უფროს ლეიტენანტ ხოდორჩენკოს მეთაურობით შეუმჩნევლად გავიდა მოწინააღმდეგის საარტილერიო ბატარეის პოზიციებზე. როცა საბჭოთა არტილერიამ სროლა ასტეხა, ჰიტლერელები გამოხტნენ ბლინდაჟებიდან და თავიანთი ქვემეხებისაკენ გაიქცნენ. ამ დროს ახლომახლო მიმალულმა ჩვენმა მებრძოლებმა სროლა ასტეხეს და მოსპეს ქვემეხთა გუნდები. მებრძოლებმა ააფეთქეს მოწინააღმდეგის ქვემეხები და თავიანთ ნაწილში დაბრუნდნენ.

* * *

უკრაინის ერთ-ერთ ოლქში მოქმედმა პარტიზანულმა რაზმმა ერთი თვის განმავლობაში ლიანდაგიდან გადააგდო მოწინააღმდეგის 5 სარკინიგზო ეშელონი ჯარებიანად და სამხედრო ტვირთიანად. მარცხის შედეგად მოსპობილია 5 ორთქლმავალი, 87 ვაგონი სამხედრო ტექნიკიანად და მოკლულია მრავალი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

* * *

გერმანელი ფაშისტი ავაზაკები გადასახადებით აწიოკებენ მათ მიერ დროებით დაპყრობილი საბჭოთა რაიონების გლეხებს. ვიტებსკის ოლქში ჰიტლერელებმა რამდენიმე ათეული სულ სხვადასხვა გადასახადი შემოიღეს. დაწესებულია გადასახადები გერმანელთა კომენდატურების, ჟანდარმერიის, ბურგომისტრების, მამასახლისების შესანახად. საადგილმამულო გადასახადისა და ბაჟმალის გარდა, გლეხებმა ცალკე უნდა იხადონ თითოეული ფანჯრის, თითოეული სალუმელე მილის, შინაური ფრინველის და სხვა გადასახადები. მთელი ოლქისათვის შემოღებული გადასახადების გარდა, ყოველი კომენდანტი დამატებით აწესებს ფულადსა და ნატურალურ ხარკს. ეს გადასახადები ერთ მიზანს ისახავენ — საბოლოოდ გაძარცვონ მოსახლეობა და შიმშილი და ამოწყვეტა არგუნონ წილად საბჭოთა ადამიანებს.

27 ნოემბრის საღამოს ცნობა

27 ნოემბრის განმავლობაში სტალინგრადთან ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევას და დაიკავეს დასახლებული პუნქტები ვერხნე-ცინლოვსკი, მარინოვკა, ნოვოაქსაისკი, ზარია.

* * *

26 ნოემბერს ჩვენი ავიაციის ნაწილებმა ფრონტის სხვადასხვა უბანზე მოსპეს გერმანელთა 20 ტანკი, 200-მდე ავტომანქანა ჯარებიანად და ტვირთიანად, დაამტვრიეს 3 სარკინიგზო შემადგენლობა, ჩაახშეს 10 საარტილერიო ბატარეის ცეცხლი, გაჰფანტეს და ნაწილობრივ მოსპეს მტრის 2 ბატალიონამდე ქვეითი ჯარი და კავალერიის ესკადრონი.

* * *

ქალაქ სტალინგრადის ჩრდილოეთ ნაწილში მებრძოლები ამხ. გოროხოვის მეთაურობით აქტიურ საბრძოლო მოქმედებას ეწეოდნენ და 400-500 მეტრით წაიწიეს წინ. ბრძოლის ველზე დარჩა მტრის 200-ზე მეტი გვამი. საქარხნო რაიონში ჩვენმა ნაწილებმა რამდენიმე შენობა დაიკავეს და დიდი ზარალი მიაყენეს გერმანელებს.

* * *

სტალინგრადის ჩრდილო-დასავლეთით ჩვენი ჯარები, სძლევდნენ რა მტრის წინააღმდეგობას, ეწეოდნენ შეტევითს ოპერაციებს. ერთ უბანზე 6 შენაერთის მებრძოლებმა წინწაწევისას ხელთ იგდეს გერმანელთა 51 ტანკი, 5 ქვემეხი, 8 ნაღმსატყორცნი, 1.000-მდე შაშხანა და სხვა ღავლა. გერმანელებმა ბრძოლის ველზე დასტოვეს თავისი ჯარისკაცებისა და ოფიცრების ბევრი გვამი. სხვა უბანზე ჩვენმა მებრძოლებმა უეცარი დარტყმით დაიკავეს დასახლებული პუნქტი, რომელშიც იყო მტრის ნაწილების მომარაგების ბაზა. ხელთ ვიგდეთ დიდი სასურსათო და 4 საინჟინრო საწყობი, 200-მდე კასრი საწვავი და სხვა სამხედრო ქონება. ჩვენი კავალერიის ნაწილები გარს შემოერტყნენ ჰიტლერელებს ერთ დიდ დასახლებულ პუნქტში და ბრძოლას ეწევიან ამ პუნქტის დასაპყრობად.

* * *

სტალინგრადის სამხრეთ-დასავლეთით ერთ უბანზე ჩვენი ჯარები იგერიებდნენ მტრის იერიშებს, რომელიც ცდილობდა გაჭრილიყო სამხრეთ-დასავლეთისაკენ, დანარჩენ უბნებზე კი წარმატებით მიიწევდნენ წინ. 6 შენაერთმა დაიკავა რამდენიმე დასახლებული პუნქტი, მოსპო 600-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, მტრის 18 სატყვიამფრქვევო წერტი და 6 საარტილერიო ბატარეა, დაანგრია 18 ძელმიწური საცეცხლე წერტი და ბლინდაჟი. წამოყვანილია ბევრი ტყვე. ჩვენი მოტორიზებული ნაწილები წინ გაიჭრნენ და გაანადგურეს მტრის დიდი კოლონა. მოსპობილია 11 ტანკი, 58 ავტომანქანა ჯარიანად და საომარ მასალიანად, 9 ქვემეხი. ტყვედ წამოყვანილია მტრის რამდენიმე ასეული ჯარისკაცი და ოფიცერი.

* * *

ნალჩიკის სამხრეთ-აღმოსავლეთით საარტილერიო სროლა იყო ორივე მხრივ. 6 ნაწილის უბანზე ჩვენმა არტილერისტებმა და ნაღმსატყორცნელებმა დაანგრიეს გერმანელთა 8 ძელმიწური საცეცხლე წერტი და ბლინდაჟი, დაზიანეს 2 ტანკი და 6 ავტომანქანა საომარ მასალიანად. ჩახშობილია მტრის 3 საარტილერიო ბატარეის ცეცხლი. გაწყვეტილია 250-მდე ჰიტლერელი.

* * *

ტუაფსეს ჩრდილო-აღმოსავლეთით ჩვენმა საარტილერიო ქვეგანაყოფმა 2 დღის განმავლობაში მოსპო მტრის 13 ავტომანქანა საომარ მასალიანად, ჩაახშო 1 საარტილერიო და 2 სანაღმსატყორცნო ბატარეის ცეცხლი. მტრის ზურგში მოქმედი მზვერავთა რაზმი თავს დაესხა გერმანელთა გარნიზონს, მოსპო 60 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, ააფეთქა 3 ქვემეხი და საომარ მასალათა საწყობი.

* * *

კარელიის ფრონტზე 6 შენაერთის მებრძოლებმა და მეთაურებმა უკანასკნელი 4 დღის განმავლობაში გასწყვიტეს 200-მდე თეთრფინელი ჯარისკაცი და ოფიცერი, მათ შორის 77 სნაიპერებმა მოკლეს. თავი გამოიჩინეს ამ შენაერთის სნაიპერებმა ამხ. კულიკოვმა, პიტაევმა, კლიმოვსკიმ, შმონინმა და ზეცაროვმა.

* * *

მინსკის ოლქის ტერიტორიაზე მოქმედმა პარტიზანულმა რაზმებმა ნოემბრის 10 დღის განმავლობაში ლიანდაგიდან გადააგდეს მტრის 17 სარკინიგზო ეშელონი, მათ შორის ორი ეშელონი ცოცხალ ძალიანად. მოსპობილია 7 ორთქლმავალი და 51 ვაგონი. გარდა ამისა, ოკუპანტებთან ბრძოლებში საბჭოთა პატრიოტებმა გასწყვიტეს 160 და დასჭრეს 50 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

* * *

მიღებულია ცნობა გერმანელ ფაშისტ არამზადათა მიერ ორიოლის ოლქის სოფელ სემიონოვკაში ჩადენილი საზიზღარი დანაშაულობის შესახებ. ამ სოფლის 7 ქალიშვილი ძალით იქნა წაყვანილი მეზობელ ქალაქში იქიდან გერმანიაში გასაგზავნად. გზაში ქალიშვილები გამოიქცნენ და თავიანთ სოფელში დაბრუნდნენ. რამდენიმე დღის შემდეგ ჰიტლერელმა კაცისმჭამელებმა სემიონოვკის ყველა მცხოვრებნი მოედანზე შეჰყარეს და გამოქცეული ქალიშვილები დახვრიტეს.

იერიში

(„იზვესტიას" სპეციალური კორესპონდენტისაგან)

დილით დონის ველს იმდენად სქელი ნისლი ჩამოაწვა, რომ შემხვედრი მანქანები მოულოდნელად ამოტივტივდებოდნენ ხოლმე რძისფერი საბურველიდან და მაშინვე კვლავ მიიმალებოდნენ. ძლივსღა ასწრებ მათზე ნომრის ნიშნებისა და არარუსული წარწერების შემჩნევას. ისე, როგორც მონაცრისფრო ეკრანზე, მოლოლავდნენ გრძელლულიანი, ჩვენთვის უჩვეულო, უცნობი ფორმის ზარბაზნები.

შემდეგ გამოჩნდა ადამიანთა ბრეული კოლონა. კოლონის თავი და ბოლო ბურუსში იკარგებოდა. გეგონებათ, ადამიანები კი არ მიდიან, არამედ ერთ ადგილს ტკეპნიან და თოვლიან გზას ბეჭნიანო. გადის წუთი, ორი, ხუთი, ხოლო სწრაფად მიმქროლი მანქანის გვერდით კიდევ მოსჩანს მოლუშულ ადამიანთა ჯგუფი.

უფრო გვიან, როცა ნისლი გაიფანტა, ჩვენ ჩავუარეთ კიდევ ორ ასეთ კოლონას და უკვე ნათლად დავინახეთ რამდენიმე კილომეტრზე გაჭიმული კოლონები განადგურებული ფაშისტთა დივიზიების ტყვე ჯარისკაცებისა და ოფიცრებისა, რომლებიც ზურგში მიჰყავდათ.

ჩვენ გავდივართ მტრის მიერ დანგრეულ, გაძარცვულ ხუტორებსა და სტანიცებს. ხარახურით სავსე ქუჩები, არც ერთი მთელი სახლი. ჯერ კიდევ არ არის აკრეფილი მტრის ჯარისკაცთა გვამები, ჰყრია დახოცილი ცხენები, ხოლო ხვრელებიდან, ფარული თავშესაფრებიდან უკვე ამოდიან გამხიარულებული საბჭოთა ადამიანები. პრიმიტიული საზიდოებით, მხრებით მიეზიდებიან ისინი ნივთების ნაშთებს, მიიჩქარიან შინ, სინათლისაკენ, სიცოცხლისაკენ.

რომელიღაც დედაბერს ერთი ხელით მიჰყავს თავსაფარში გახვეული ბავშვი, მეორე ხელით მიაქვს მცირე შეკვრა ნივთები. მას, ეტყობა, უმძიმს. ამიტომაც ასე გაგვიკვირდა, როცა მან სავსებით ახალგაზრდული, რიხიანი ხმით მიმართა ჩვიდმეტიოდე წლის ჭაბუკს, რომელიც ხელის ურემზე ისვენებდა:

— დაილალე, არა, ფედია? გაეშურე შინ! ამბობენ, ჩვენებმა გერმანელები შორს გარეკესო!..

ჩაუქროლებენ კოლმეურნე ქალებს, რომლებიც მშობლიურ სტანიცებში ბრუნდებიან, დამწვარ ტანკებს, მიტოვებულ ყუმბარებიან ყუთებს, გადაყირავებულ საზიდრებს და სრული სიჩქარით მიდიან დასავლეთისაკენ ჩვენი მანქანები, რომლებსაც მიჰყავთ შევსება, მიაქვთ საომარი მასალა და სურსათი. ზამთრის საფრონტო გზის სურათი, ჩვენი შეტევის სურათი!

ჯერ კიდევ შეტევის დაწყებამდე ჩვენს სარდლობას დაწვრილებითი ცნობები მოეპოვებოდა მოწინააღმდეგის შესახებ. ძალით ტყვეებმა, რომლებიც ხელთ ჩავიგდეთ არაერთგზისი კერძო ოპერაციების დროს, და დაზვერვის ცნობებმა საშუალება მოგვცეს შეგვესწავლა მტრის წინააღმდეგობის ძირითადი კვანძები, მოწინააღმდეგის საცეცხლე წერტების განლაგება, მაშველი ძალისა და მასალების მიწოდების გზები.

და აი შეტევა დაიწყო. მებრძოლებმა უდიდესი აღფრთოვანებით მოისმინეს სარდლობის ბრძანება. ყველანი მოუთმენლად ელოდნენ სიგნალს.

15-წუთიანი საარტილერიო მომზადება განსაკუთრებით ძლიერი და მარჯვე იყო. არტილერისტებმა მძლავრი ცეცხლის გრიგალით მთლად მიღეწეს მტრის ზარბაზნებისა და ქვემეხების საბუდარები, ჩაახშეს მოწინააღმდეგის ცეცხლითი წინააღმდეგობა და ფართოდ გაანგრიეს მისი თავდაცვის სისტემა.

შემდეგ ცეცხლი წინა კიდიდან გადატანილ იქნა სიღრმეში, მტრის უკანდასახევ გზაზე, ხოლო არტილერისტების მიერ შენგრეულ ადგილას იერიშზე გადავიდა ჩვენი ქვეითი ჯარი ტანკების დახმარებით.

მოწინააღმდეგის თავდაცვა დამსხვრეულ იქნა. ჩვენმა ნაწილებმა, გაარღვიეს რა მტრის ფრონტი, წინ წაიწიეს. მაგრამ გერმანელები ისევ გვიწევდნენ გააფთრებულ წინააღმდეგობას და არაერთხელ გადმოდიოდნენ კონტრიერიშებზე. ზოგიერთი ჩვენი ნაწილი დღეში რვამდე კონტრიერიშს იგერიებდა.

მოწინააღმდეგისათვის პირისპირ დარტყმასთან ერთად, ჩვენმა ნაწილებმა ფართო შემოვლითს მანევრს მიმართეს. ტანკებისა და ცხენოსანი ჯარისაგან შემდგარი მოძრავი ჯგუფი ბრძოლაში არ ებმებოდა. მან მოსინჯა მტრის ფლანგები, შემოუარა მათ და გაიჭრა გერმანელთა ზურგისაკენ.

ტანკისტებმა და ცხენოსნებმა მთლად მოშალეს მტრის დივიზიების მართვა, დაარღვიეს კავშირგაბმულობა, ჩაჰკეტეს უკანდასახევი გზები და სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ იერიშის მიტანით შექმნეს ფართო რკალი მოწინააღმდეგის დაჯგუფების ირგვლივ.

ტანკისტებს, მათგან სრულიად მოუწყვეტლად, მიჰყვებოდნენ ჩვენი მსროლელი ნაწილები. ქვეითებმა დასძლიეს მტრის შეუპოვარი წინააღმდეგობა და ტანკისტებთან თანამოქმედებით მტრის ფლანგებისათვის მთელი რიგი დარტყმების შედეგად ორი დღის განმავლობაში ათობით კილომეტრზე გაარღვიეს მტრის თავდაცვა. მოწინააღმდეგე განაგრძობდა გააფთრებულ წინააღმდეგობას. მაშინ ჩვენმა ნაწილებმა, ბრძოლით დაიკავეს რა მთელი რიგი მნიშვნელოვანი მაღლობები, კიდევ ერთი შემოვლითი მანევრი განახორციელეს და მტრის დაჯგუფების ირგვლივ კიდევ ერთი, უფრო ვიწრო რკალი შეჰკრეს.

შემდგომ ოპერაციებში დიდი გამარჯვებით დაგვირგვინდა 6 ნაწილის გადამწყვეტი და გაბედული მოქმედება. მან ფრონტიდან შეუბოჭა მოწინააღმდეგის რიცხობრივად ჭარბი ძალები და ამავე დროს დაარტყა ფლანგიდან. ეს დარტყმა ისეთი მძაფრი და მძლავრი იყო, რომ მოწინააღმდეგის დიდი დაჯგუფება კიდევ ერთ, მესამე რკალში აღმოჩნდა.

სამმაგ რკალში მომწყვდეული მტრის ნაწილების უმრავლესობა საბოლოოდ იქნა დემორალიზებული. უკანდახევისას ისინი სტოვებდნენ ათობით ტანკებსა და ქვემეხებს, ასობით მანქანებს, საწყობებს. აეროდრომებზე მიტოვებულია ათობით სავსებით ვარგისი მანქანა.

მტრის გარშემორტყმული დაჯგუფების სარდლობას ულტიმატურად მიეცა წინადადება დანებებულიყო. ჰიტლერელმა გენერალმა უარი სთქვა. მაშინ ამოქმედდნენ ჩვენი ტანკისტები. მათ იწყეს მოწინააღმდეგის დივიზიების დანაკუწება, ერთი-მეორისაგან განცალკევება. ამავე დროს გრიგალისებური სროლა ასტეხა ჩვენმა არტილერიამ. ჰიტლერელებმა, რაკი დაინახეს, რომ მდგომარეობა უიმედო იყო, იარაღი დაჰყარეს.

მთელი დღევანდელი ღამისა და დილის განმავლობაში მიდიოდნენ იარაღაყრილი პოლკები, საარტილერიო დივიზიონები.

ჩვენი ნაწილების შეტევა გრძელდება. დღეს ჩვენმა ცხენოსნებმა და ტანკისტებმა კიდევ მთელი რიგი დარტყმები აგემეს მოწინააღმდეგის ზურგს. მათ უკან არა რჩებიან და დასავლეთისაკენ მიიწევენ ქვეითები. მებრძოლნი ძლივს აუდიან დავლის დათვლას. გერმანელები ცდილობდნენ დაეწვათ ერთ აეროდრომზე თავიანთი მანქანები, მაგრამ მათ ეს ვერ მოასწრეს. ჩვენმა ქვეითებმა ხელთ იგდეს რამდენიმე სავსებით ვარგისი თვითმფრინავი.

შუადღისას მოვიდა ცნობა იმის შესახებ, რომ ერთ-ერთი მაღლობის რაიონში, მტრის აეროდრომზე ხელთ ვიგდეთ კიდევ ათობით ვარგისი თვითმფრინავი. გერმანელმა თვითმფრინავებმა აფრენა ვერ მოასწრეს.

კვლავ განუწყვეტლივ მოდის ცნობები ჩვენი ნაწილების შემდგომ წარმატებათა შესახებ. ღამის წყვდიადში კიდური ნათურებით ხანდახან ბზინავენ და მიჰქრიან დასავლეთისაკენ ჩვენი ბომბდამშენები. არა წყდება ჩვენი ზარბაზნების გრიალი. მტრის დასაწევად მიიჩქარის მოტოქვეითი ჯარი.

მ. რუზოვი

მოქმედი არმია, 26 ნოემბერი.
„იზვესტია", 27 ნოემბერი.

უკანასკნელი ცნობები

ჩაიშალა ჰიტლერის ცდა ხელთ ეგდო საფრანგეთის ფლოტი

საფრანგეთის მეზღვაურებმა ჩასძირეს გემები ტულონის ნავსადგურში. ჰიტლერმა საფრანგეთის შეიარაღებული ძალების „დაშლა" გამოაცხადა

სტოკჰოლმი, 27 ნოემბერი (საქდესი). ჰავას-ოფის სააგენტო ოფიციალურად იუწყება, რომ 27 ნოემბერს დილის 4 საათზე გერმანიის ჯარები ტულონში შევიდნენ. როცა გერმანელთა ტანკები არსენალისაკენ გაემართნენ, საფრანგეთის ადმირალმა დე ლაბორდმა გემთა ეკიპაჟებს უბრძანა ჩაეძირათ გემები, რაც დაუყოვნებლივ შესრულებულ იქნა. დილის 10 საათისათვის ზედაპირზე აღარ დარჩენილა საფრანგეთის აღარც ერთი გემი.

როგორც ცნობილია, ლავალთან დადებული სპეციალური შეთანხმებით, ჰიტლერმა აკისრა ვალდებულება არ მოეხდინა ტულონის ოკუპაცია, არამედ „განსაკუთრებულ ზონად" გამოეყო იგი. როგორც ახლა ცხადი გახდა, ჰიტლერელებმა ეს ტრიუკი იმასთან დაკავშირებით ჩაიდინეს, რომ რაკი საფრანგეთის სამხრეთ სანაპიროს ოკუპაციისთანავე ვერ შესძლეს საფრანგეთის ფლოტის ხელში ჩაგდება, მათ გადასწყვიტეს ლავალთან შეთანხმებით მოედუნებინათ ფრანგ მეზღვაურთა სიფხიზლე და მოეგოთ დრო ფლოტის ხელში ჩასაგდებად მომზადებისათვის.

აქ მიღებული ცნობებით, ჰიტლერელთა ვერაგობამ, რომლებმაც შეთანხმება დაარღვიეს და უეცრად შეიჭრნენ ტულონში, უდიდესი აღშფოთება გამოიწვია ტულონის მოსახლეობაში, აგრეთვე გარნიზონის ჯარებსა და გემთა ეკიპაჟებში.

ბერლინში გამოქვეყნდა ოფიციალური ცნობა, სადაც აღიარებულია, რომ ტულონში შესვლისას გერმანიის ჯარები წინააღმდეგობას წააწყდნენ მოსახლეობის, ჯარებისა და მეზღვაურების მხრივ.

ჰიტლერის მიმართვა პეტენისადმი

ჟენევა, 27 ნოემბერი (საქდესი). ტულონში გერმანიის ჯარების შეჭრის შესახებ ბრძანების გაცემასთან ერთად ჰიტლერმა გაუგზავნა პეტენს მიმართვა, რომელშიც ცდილობს მუხანათური აგრესიის ახალი აქტი გაამართლოს იმაზე მითითებით, რომ საფრანგეთის ჯარის ნაწილებსა და ფლოტის პირად შემადგენლობაში ანტიგერმანული ელემენტების გავლენა იზრდებოდაო. ამასთან დაკავშირებით, როგორც აღნიშნულია ჰიტლერის მიმართვაში, მან გადასწყვიტა დაეკავებინა ტულონი, „დაეშალა" საფრანგეთის შეიარაღებული ძალები და მოეხდინა საფრანგეთის ფლოტის დემობილიზაცია.

პეტენისადმი ჰიტლერის მიმართვა თავდება აბუჩადამგდები განცხადებით იმის შესახებ, რომ ახლა გერმანელების მიერ ჩატარებულ „ღონისძიებათა" შემდეგ იქმნება ბაზა „ნამდვილი თანამშრომლობისათვის საფრანგეთსა და გერმანიას შორის", სხვანაირად რომ ითქვას, ბერლინისადმი საფრანგეთის სრული დამორჩილებისათვის.

ტულონის ამბების დაწვრილებითი ცნობები

ლონდონი, 27 ნოემბერი (საქდესი). რეიტერის სააგენტო აქვეყნებს ვიშის რადიოს გადმოცემას ტულონის ამბების დაწვრილებითი ცნობების შესახებ. დღის დილადრიანად, ნათქვამია ცნობაში, გერმანიის ბომბდამშენები ტულონზე გამოჩნდნენ თანმიმდევრულ ტალღებად, ისინი უშვებდნენ რაკეტებს, რათა გაენათებინათ საფრანგეთის სამხედრო გემები. სხვა ბომბდამშენებმა ჩამოჰყარეს საზღვაო ნაღმები ნავსადგურის შესასვლელთან და ფუგასური ბომბები სიმაგრეებზე ნავსადგურის გარშემო. საზენიტო ქვემეხებმა დაუყოვნებლივ აუტეხეს სროლა გერმანელთა თვითმფრინავებს. ზოგიერთმა გემმა სცადა ღუზის ამოღება წასასვლელად. მაგრამ ამ დროს დასავლეთიდან გამოჩნდნენ გერმანელთა ჯავშანსატანკო კოლონები, რომლებიც მთავარი ნავსადგურისაკენ გაემართნენ და დაუყოვნებლივ დახურეს იგი. საზღვაო პრეფექტურისა და მუნიციპალიტეტის შენობები მალე გერმანელთა ხელში აღმოჩნდა. გერმანელთა ტანკებისა და ჯავშანმანქანების სხვა კოლონა არსენალში შევიდა კასტინიოს დოკების მხრით და აქედან გაემართა მილოს დოკებისაკენ, სადაც სახაზო გემი „სტრასბურგი" იდგა. გერმანიის მოტორიზებულმა კოლონებმა გერმანელი მევტომატეები მიიყვანეს ვობანის დოკებთან, სადაც სარემონტოდ იდგა სახაზო გემი „დიუნკერკი". ამ დოკის წინ ღუზაზე იდგა 4 მძიმე კრეისერი, ბევრი მსუბუქი კრეისერი, საესკადრო ნაღმოსნები და კორვეტები. უეცრად საშინელმა აფეთქებამ შესძრა ჰაერი. ეს სახაზო გემ „სტრასბურგის" ეკიპაჟმა ჩასძირა თავისი გემი. შემდეგ აფეთქება გაისმა სხვა გემებზე. ამის შემდეგ აფეთქებულ იქნა საფრანგეთის სანაპირო ბატარეები.

ზოგიერთ ხომალდზე მზადება მათი ჩასაძირავად დროზე არ იყო დამთავრებული, და ამიტომ მეზღვაურებმა სროლა აუტეხეს გერმანელებს, რათა ისინი არ მიეშვათ მანამდე, სანამ აფეთქება ხომალდებს არ მოსპობდა. მეზღვაურთა შორის, რომლებმაც ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ გერმანელებისათვის არ მიეცათ საშუალება ხელში ჩაეგდოთ ხომალდები, ბევრი მსხვერპლია. ყველა გემის მეთაურები ბოგაზე რჩებოდნენ მანამდე, სანამ ხომალდები არ ჩაიძირნენ. მეთაურთა უმეტესობა დაიღუპა.

განთიადისას შემაძრწუნებელი სურათი გადაიშალა: საფრანგეთის ფლოტის ყველა ხომალდი გვერდზე იყო გადაწოლილი და სქელ კვამლში გახვეული. ქალაქის ქუჩებში გაისმოდა გერმანელთა სატვირთო მანქანების საყვირი, რომელთაც მიჰყავდათ ტყვე ფრანგები; ტყვეებს თავი მტკიცედ და ღირსეულად ეჭირათ.

უკვე მას შემდეგ, რაც მთლად გათენდა, კვლავ გაისმოდა აფეთქებათა ხმა—ფეთქდებოდა მცირე ხომალდები. ხანდახან გაისმოდა ძლიერი გრიალი—ფეთქდებოდა საომარ მასალათა საწყობები და საწვავის მარაგი, რომლებიც რამდენიმე მანძილით იყო დაშორებული დოკებს.

ცოტა მოგვიანებით ვიშის რადიოსადგურმა გადასცა, რომ ტულონში აფეთქებულია სანაპირო ბატარეები, საზღვაო არსენალი, საომარ მასალათა საწყობები და საწვავის რეზერვუარები.

ლონდონი, 27 ნოემბერი (საქდესი). ვიშის რადიოსადგურმა 18 საათსა და 00 წუთზე გადასცა, რომ სქელი კვამლი კვლავ ფარავს ტულონის რეიდს. ხანდახან გაისმის აფეთქების ხმა—ფეთქდება ჩაძირული სამხედრო ხომალდების თოფისწამლის სარდაფები.

ტულონში მყოფი საფრანგეთის ფლოტის შემადგენლობა

ლონდონი, 27 ნოემბერი (საქდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ ტულონში მყოფი საფრანგეთის ფლოტის შემადგენლობაში შედიოდა 3 სახაზო გემი, 4 მძიმე და 3 მსუბუქი კრეისერი, ერთი ავიოსანი, 25 საესკადრო ნაღმოსანი, 26 წყალქვეშა ნავი და სხვა ხომალდები.

ფრანგი მფრინავების დახმარება მოკავშირეებისადმი ჩრდილოეთ აფრიკაში

ლონდონი, 27 ნოემბერი (საქდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ მაროკოში იმყოფებიან ფრანგი მფრინავები გენერალ ლაჟულის მეთაურობით. ისინი მონაწილეობას იღებენ ჩრდილოეთ აფრიკის საჰაერო ბრძოლებში მოკავშირეთა მხარეზე. მაროკოზე ბაზირებულ საფრანგეთის საავიაციო ჯგუფში არის ლაფაიეტის ესკადრილია, რომელიც იქ იმყოფება ჯერ კიდევ 1940 წლიდან, და საშუალო ბომბდამშენთა ჯგუფი, რომელიც 9 ნოემბერს მარსელიდან მიფრინდა.

გამანადგურებელი დარტყმა მტერზე

(„პრავდის" სპეციალური კორესპონდენტისაგან)

ფრონტისაკენ მიმავალი მთელი გზა ტყვეებით არის გაჭედილი. ყოველ ნაბიჯზე გვხდება გაჩერება, რომ გზა მივცეთ მორიგ კოლონას. ველოდებით ხუთ, ათ, თხუთმეტ წუთს, გარშემო ვუვლით მანქანას, უკვე ფეხები გვეყინება, ტყვეები კი მოდიან და მოდიან, ყოველ რიგში ექვს-ექვსი კაცი, და მათ ბოლო არ უჩანთ. მოდიან ნელა, თავჩაქინდრულნი, დაბალი ხმით ელაპარაკებიან ერთმანეთს.

ჩვენი შეტევა მოულოდნელი და გამანადგურებელი იყო მტრისათვის. სტალინგრადის ჩრდილო-დასავლეთით ერთ-ერთ უბანზე დონის ღრმა მოსაქცევია. დონის აღმოსავლეთ ნაპირზე განლაგებული ჩვენი ნაწილები აქ მტრის ზურგს დაჰყურებდნენ. თვენახევრის განმავლობაში საბჭოთა ჯარები იუმჯობესებდნენ მდგომარეობას, მტრისაგან სწმენდდნენ, იკავებდნენ პლაცდარმს შეტევისათვის. 19 ნოემბერს, გრიგალისებური საარტილერიო მომზადების შემდეგ, ჩვენმა ჯარებმა გაარღვიეს მტრის თავდაცვის ხაზი.

მოიერიშე ბატალიონის ტყვედ ჩავარდნილი ჯარისკაცები ამბობდნენ: „საარტილერიო ყუმბარებისა და ნაღმების სეტყვამ ჩვენში პანიკა და არევდარევა გამოიწვია. განსაკუთრებით შემაძრწუნებელი იყო რუსების გვარდიული ნაღმსატყორცნების მოქმედება. ყველაფერი ზანზარებდა აფეთქებათა გრიალისაგან. ბევრმა ჩვენმა ოფიცერმა სწრაფად მოჰკურცხლა ბრძოლის ველიდან. ჩვენი ბატალიონის მეთაურს ბლინდაჟში ნაბადი და მაზარა დარჩა".

შეტევის პირველსავე დღეს ჩვენმა ნაწილებმა მნიშვნელოვნად წაიწიეს წინ და დონის მოსაქცევში გარს შემოერტყნენ მტრის სამ ქვეითთა დივიზიას. მათ ყველამ დაჰყარეს იარაღი და მათი შტაბები სამი გენერლის მეთაურობით დანებდნენ წითელი არმიის ნაწილებს. ტყვეთა შორის სამი გენერალია და მრავალი ოფიცერი. გენერლები და უფროსი ოფიცრები სამხედრო ტყვეთა შესახებ არსებული ყველა საერთაშორისო წესის დაცვით ევაკუირებული არიან ზურგში. მტრის იმ ქვეითი დივიზიის მახლობლად განლაგებული ნაწილები, რომელმაც წინააღმდეგობის გაწევა სცადა, ან მოსპობილი არიან, ან ნაწილობრივ ტყვედ არიან წამოყვანილი.

ჩვენი ნაწილები განაგრძობენ შეტევითს მოქმედებას. გერმანელებს ბრძოლის ადგილას სასწრაფოდ მოჰყავთ რეზერვები. ჩვენი ერთი ცხენოსანი ნაწილის წინააღმდეგ გერმანელებმა 180 ტანკი გამოიყვანეს. 60 მათგანი დაზიანებულ იქნა, დანარჩენებმა უკან დაიხიეს. საგრძნობი დარტყმა ვაგემეთ გერმანიის ავიაციას, რომელიც სტალინგრადის რაიონში მოქმედებს. ჩვენმა ჯარებმა ხელთ იგდეს მრავალი აეროდრომი. ზოგიერთ მათგანზე გერმანელებმა სავსებით ვარგისი თვითმფრინავები დასტოვეს. ღრუბლები დაბლაა ჩამოწოლილი და გერმანიის ავიაცია თითქმის არ მოქმედებს. ცალკეულ თვითმფრინავებს, რომლებიც მცირე სიმაღლეზე გამოჩნდებიან ხოლმე, ჩვენი მებრძოლები წარმატებით აგდებენ ძირს ქვეითი ჯარის იარაღის ცეცხლით.

ლიდოვი

„პრავდა", 27/XI.
(მიღებულია რადიოთი საქრადიოკომიტეტის მიერ).

გერმანელები სწვავენ რუსულ სოფლებს

მოქმედი არმია, 27 ნოემბერი (საქდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). როგორც ფაშისტთა ტყვეობიდან გამოქცეული რუსი მოქალაქეები გადმოგვცემენ, ოქტომბრის ბოლოს კალინინის ოლქის ნოვოსოკოლნიკის რაიონში გერმანელებმა სულ გადაბუგეს სოფლები ულიასოვო, ივანიშევო, შეპჩინო, ანდრიუკოვო, ალხიმოვო და ამოსოვო. სოფელ ანდრიუკოვოში ჰიტლერელებმა დასწვეს მთელი მოსახლეობა: მამაკაცები და ქალები, მოხუცები და ბავშვები. ცეცხლში დაიღუპა 200-ზე მეტი კაცი. ერთი ოჯახი, რომელშიც ბავშვები იყვნენ, სანგარში დაიმალა. ფაშისტებმა ამ სანგარს გრანატები დააყარეს.

თავდაცვის სახალხო კომისარიატში

ჩვენი საბჭოთა სამშობლოსათვის ბრძოლებში გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ 63-ე მსროლელმა დივიზიამ გვიჩვენა მამაცობის, გულადობის, დისციპლინისა და ორგანიზებულობის ნიმუშები.

გერმანელ დამპყრობლებთან განუწყვეტელ ბრძოლებში, 63-ე მსროლელმა დივიზიამ უდიდესი ზარალი მიაყენა ფაშისტთა ჯარებს და თავისი გამანადგურებელი დარტყმებით (სპობდა მტრის ცოცხალ ძალასა და ტექნიკას, ულმობლად ანადგურებდა გერმანელ დამპყრობლებს.

გერმანელ დამპყრობლებთან სამშობლოსათვის ბრძოლებში გულადობის გამოჩენისათვის, სიმტკიცისა, მამაცობისა და ორგანიზებულობისათვის, პირადი შემადგენლობის გმირობისათვის 63-ე მსროლელი დივიზია გარდაქმნილია გვარდიის 52 მსროლელ დივიზიად.

დივიზიის მეთაური—პოლკოვნიკი ნესტორ დიმიტრის-ძე კოზინი.

გარდაქმნილ დივიზიას ეძლევა გვარდიის დროშა.

საომარი მასალების მრეწველობის მუშაკთა დაჯილდოება

საომარი მასალების წარმოების საქმეში მთავრობის დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაჯილდოებულია საომარი მასალების მრეწველობის მუშაკთა ჯგუფი.

ლენინის ორდენით დაჯილდოებულია 38 კაცი;

შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულია 202 კაცი;

წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოებულია 331 კაცი;

„საპატიო ნიშნის" ორდენით—918 კაცი;

მედლით „შრომითი მამაცობისათვის"—775 კაცი;

მედლით „შრომითი წარჩინებისათვის" — 718 კაცი. (საქდესი).

ხელი შევუწყოთ წითელი არმიის შეტევას თავდადებული შრომით ზურგში!

მოწინავე საამქროს მოწინავე ბრიგადები

სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის სამჭედლო საამქროში (უფროსი ალ. ხიზანაშვილი) ამხანაგ სტალინის მოხსენებამ და ბრძანებამ მძლავრი საწარმოო აღმავლობა გამოიწვია. საამქროს კოლექტივმა, რომელიც სოციალისტურ შეჯიბრებაშია ჩაბმული სადნობ საამქროსთან, დიდი გადაჭარბებით შეასრულა ნოემბრის ნახევარი თვის საწარმოო დავალება. 50 ტონა რკინის ნაცვლად გამოსჭედა 80 ტონა. გარდა ამისა, საამქრო წარმატებით ასრულებს თბილისის სხვა ქარხნების სპეციალურ დაკვეთებსაც.

საამქროში ენერგიული და შეწყობილი მუშაობით გამოირჩევა გაზ. „კომუნისტის“ სახელობის გამგლინავი ბრიგადა, რომელსაც პ. ჟავარენკო ხელმძღვანელობს. ამ ბრიგადამ, რომელმაც ოქტომბრის გეგმა 731 პროცენტით შეასრულა, ნოემბერში, განსაკუთრებით დიდი ბელადის მოხსენების და ჩვენი ჯარების წარმატებითი შეტევის შემდეგ, უფრო მაღლა აწია თავისი საწარმოო მაჩვენებლები. ბრიგადა მაქსიმალურად იყენებს ძველ მასალას, რკინის ნაჭრებს, ახარისხებს და ისე გლინავს მათ, უშვებს მაღალხარისხოვან პროდუქციას. „კომუნისტის“ სახელობის ბრიგადის მოწინავე ადამიანები არიან ნ. ხუციშვილი, გ. მერაბიშვილი, ს. მანჩხავა, ე. კოხრეიძე, გ. თათარაშვილი.

მუშაობის საუკეთესო მაგალითებს იძლევა ორდენოსან კ. ილურიძის სამჭედლო ბრიგადა, რომელიც დავალებებს სამხედრო დაკვეთების დარგში სასახელოდ ასრულებს. ბრიგადა მუშაობს უწუნოდ, ეკონომიურად ხარჯავს მასალას, ზეთს, მაზუთს. მისი მანქანა მაქსიმალურად არის დატვირთული, ტყუილუბრალოდ არ სცდება არცერთ წუთს.

სტახანოვურად მუშაობს დამამზადებელი ბრიგადა კ. სინჯიკაშვილის (ხელმძღვანელი), გ. პაპინაშვილის, გ. გიუნაშვილის და ზ. ფურცელაძის შემადგენლობით. ეს ბრიგადა 7 კაცის ნაცვლად 4 კაცით მუშაობს, თავის საწარმოო დავალებას გადაჭარბებით ასრულებს და, გარდა ამისა, თბილისის ერთ-ერთი ქარხნის დაკვეთებსაც წარმატებით ასრულებს.

სამჭედლო საამქროს მთელი კოლექტივი მუშაობს ერთი რწმენით—მეტი და მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებით მზარდი დახმარება გაუწიოს გმირ წითელ არმიას გერმანელი ფაშისტი არამზადების დაჩქარებით განადგურებაში.

ახალი შრომითი აღმავლობა ტყვარჩელის შახტში

ტყვარჩელი („კომუნისტის“ საკ. კორ.). უკანასკნელ ხანებში ტყვარჩელის სტალინის სახელობის შახტში დიდი საწარმოო აღმავლობა იგრძნობა. მეშახტეებმა განსაკუთრებით გაადიდეს ქვანახშირის ამოღება ამხანაგ სტალინის ისტორიული მოხსენებისა და სტალინგრადის რაიონში ჩვენი ჯარების წარმატებითი შეტევის შემდეგ. ცალკეული უბნები, ბრიგადები და სტახანოველი მეშახტეები ყოველდღიურად გადამეტებით იძლევიან ათეულობით ტონა ქვანახშირს.

ამხ. ჩირკაშინის და სკრებნევის ბრიგადები სადღეღამისო დავალებებს დიდი გადაჭარბებით ასრულებენ.

მუშაობაში არ ჩამორჩებიან შახტის მშენებლობის მუშებიც. № 1 სამშენებლო უბნის ამხ. ს. ოსტაპენკოს, ლ. კურდიუმოვის, პ. სემენიხინის და სალკინის ბრიგადები ერთმანეთს ეჯიბრებიან ბელადის მოწოდების საპასუხოდ აღებულ ვალდებულებათა გადამეტებით შესრულებაში. სტახანოველები ლ. ფედოსოვი, ნ. კურდიუმოვი, ნ. ბონდარენკო, ა. სუხოი და სხვ. უკანასკნელ ხანებში თითოეული ყოველდღიურად 2-3-4 ნორმას იძლევა.

მეშახტეების ვალდებულებაა თვალსაჩინო გადამეტებით შეასრულონ ნოემბრისა და დეკემბრის საწარმოო დავალებანი.

გ. მერკვილაძე

თესვის გეგმის შესრულება

ქარელის რაიონმა 25 ნოემბრისათვის საშემოდგომო თავთავიანი მარცვლეული კულტურების თესვის გეგმა 100,4 პროცენტით შეასრულა. დათესილია 11.248 ჰექტარი.

გაძლიერებით მიმდინარეობს მუშაობა მზრალად ხვნის გეგმის შესასრულებლად.

საქ. კ. პ. (ბ) ქარელის რაიკომის მდივანი **დევიძე**

რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **მიქაძე**

მომჭირნეობით ვხარჯოთ ნედლეული, სათბობი, ელექტროენერგია

(ჭიათურის საქალაქო პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე)

ჭიათურა („კომუნისტის“ საკ. კორ.). ამ დღეებში შესდგა ჭიათურის საქალაქო პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება. ჭიათურის საწარმოებსა და დაწესებულებებში მომჭირნეობის რეჟიმის მტკიცედ დაცვის შესახებ მოხსენებით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) ჭიათურის საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხ. ალ. სხილაძე.

მომხსენებელმა დაწვრილებით ილაპარაკა იმ სერიოზულ მუშაობაზე, რაც ჭიათურის პარტიულ-სამეურნეო ორგანიზაციებმა ომის დღეებში ეკონომიისათვის ბრძოლაში გასწიეს. ამხ. სხილაძე განსაკუთრებით შეჩერდა მარგანტრესტის მთავარი მექანიკური სახელოსნოს მუშაობაზე. აქ ფართო გასაქანი ეძლევა მუშათა შემოქმედებით ინიციატივას, რაც მიმართულია ადგილობრივი რესურსების მაქსიმალურად გამოყენებისა და თავდაცვითი პროდუქციის გამოშვების გადიდებისაკენ. ოსტატების ამხ. ს. რუხაძისა და ა. ცარციძის, ინჟ. კ. ხუნწარიძისა და დ. ჩხეიძის, ხარატების ი. კაპანაძისა და გ. ჩუბინიძის რაციონალიზატორულმა წინადადებებმა, გარდა იმისა, რომ მოგვცეს მასალების დიდი დანაზოგი, გაადიდეს შრომის ნაყოფიერება და წარმოებას ათიათასობით მანეთის ეკონომია მისცეს.

მაგრამ მარგანეცის მრეწველობაში ჯერ კიდევ არის ნაკლოვანებანი. ყველა ენერგიულად როდი იბრძვის მომჭირნეობის რეჟიმის დაცვისათვის. ორჯონიკიძის სახელობის მაღარომ მარტო მესამე კვარტალში ზედმეტად გადახარჯა 2.673 კალორია, რაც 19.136 მანეთს უდრის.

სტალინის სახელობის ქარხანა-მაღაროში მუშაობს ორი ელექტროძრავი 185 კილოვატი სიმძლავრისა, მაშინ როცა შეიძლება იმუშაოს ერთმა 75-კილოვატიანმა ძრავმა, და ამით ყოველდღიურად 38.000 კილოვატსაათი ელექტროენერგია დაიზოგება. ახვევ დიმიტროვის სახელობის მაღაროში შესაძლებელია ყოველთვიურად დაიზოგოს 24.000 კილოვატსაათი ენერგია.

ელექტროენერგია და წყალი გადახარჯა ქალაქის საბჭოს კომუნალურმა განყოფილებამ, რაც გამოიწვია იმან, რომ ჯერ კიდევ სუსტად არის გაშლილი მუშაობა ეკონომიისათვის მოსახლეობაში, ყოფაცხოვრებაში. ამხ. სხილაძემ აქტივის ყურადღება გაამახვილა საიგიტაციო-მასობრივი მუშაობის საფუძვლიანად გარდაქმნისაკენ. აგიტატორები უფრო ქმედითად უნდა იბრძოდნენ მომჭირნეობისათვის.

— ჭიათურის მარგანეცის მრეწველობის მუშაკები, რომლებიც აღფრთოვანებულნი არიან დიდი სტალინის ისტორიული მოხსენებით, კიდევ უფრო მეტი თავდადებით იმუშავებენ ჩვენი სამშობლოს სასახელოდ, ფრონტის დასახმარებლად, — სთქვა მომხსენებელმა.

დაიწყო კამათი. ორჯონიკიძის სახელობის მაღაროს დირექტორმა ამხ. დ. ერგემლიძემ აქტივს მოუთხრო იმ მუშაობაზე, რაც მაღაროს კოლექტივმა ოქტომბერ-ნოემბერში ჩაატარა მომჭირნეობის რეჟიმის დასაცავად. ამის შედეგად მაღარომ დაზოგა სამავრი მასალა, ელექტროენერგია. ამხ. ერგემლიძემ პირობა დადო მომავალში უფრო მეტი მონდომებით იმუშაონ ეკონომიისათვის.

მომჭირნეობისათვის ბრძოლაში აგიტატორების საბრძოლო ამოცანებზე ილაპარაკა ქალკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ამხ. დ. ლილუაშვილმა.

სტალინის სახელობის მაღაროს პარტბიუროს მდივანი ამხ. მ. მოდებაძე შეეხო იმ ღონისძიებათა განხორციელებას, რაც პარტიულმა ორგანიზაციამ დასახა. მან კონკრეტული მაგალითებით ცხადჰყო, რომ მაღაროს პარტიული ორგანიზაცია სერიოზულ მუშაობას ეწევა მომჭირნეობის რეჟიმის დასაცავად.

კომკავშირელთა მიერ ჩატარებულ მუშაობასა და ეკონომიისათვის ბრძოლაში კომკავშირის ამოცანებს მიუძღვნა თავისი გამოსვლა საქ. ალკკ ჭიათურის ქალაქკომის მდივანმა ამხ. ა. ხვედელიანმა.

აქტივის კრებაზე სიტყვით გამოვიდა მარგანტრესტის მმართველი ამხ. გრ. ანდღულაძე. მან დაწვრილებით ილაპარაკა ელექტროენერგიის, საწვავის, ბიგების, ფურაჟის, ქაღალდის და სხვა მასალების მომჭირნეობით ხარჯვის საკითხებზე. კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე ნ. ლაბაძემ (რკინიგზის კვანძი), დ. ოტიაშვილმა (მარგანტრესტის მთავარი მექანიკური სახელოსნო), ნ. ვაშაძემ (სამხრეთის რკინა-მაღნის პროფკავშირის ჭიათურის რაიკომი), ალ. ცუცქირიძემ (კაგანოვიჩის სახელობის მაღარო), ვ. კაპანაძემ (ქალაქის საბჭო).

აქტივის კრებამ აღნიშნულ საკითხზე მიიღო კონკრეტული ღონისძიებანი.

პ. ჭიოკაძე

თბილისის სტალინის რაიონის წვევამდელთა შეკრება

24 ნოემბერს შესდგა ქ. თბილისის სტალინის რაიონის წვევამდელთა შეკრება, მიძღვნილი იმ ამოცანათა შესრულების საკითხისადმი, რომლებიც დასახულია თავდაცვის სახალხო კომისრის—ამხანაგ სტალინის 1942 წლის 7 ნოემბრის ისტორიულ ბრძანებაში. შეკრებამ განიხილა წვევამდელთა სამხედრო მომზადების ამოცანები და დასახა მთელი რიგი ღონისძიებანი ბელადის ბრძანების საუკეთესოდ შესრულებისათვის.

შეკრებაზე გამოვიდნენ წვევამდელები შენგელია, ბელეცკი და სხვები, რომლებმაც აიღეს ვალდებულება საუკეთესოდ დაეუფლონ სამხედრო ტექნიკას, იყვნენ მოწინავე სტახანოველები საწარმოებში და ფრიადოსნები სწავლაში.

სტალინის რაიონის წვევამდელებმა საქართველოს წვევამდელებს მიმართეს წერილით, რომელშიც მოუწოდებენ მათ გახდნენ საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების ფრიადოსნები და ამით შეუქმნან ჩვენს სახელოვან წითელ არმიას საუკეთესო, ბრძოლისუნარიანი შევსება.

„საბრძოლო ამოცანა,—სწერენ ისინი ამ წერილში,—რომელიც დაგვისახა თავდაცვის სახალხო კომისარმა, 1925 წელს დაბადებულ ყოველ წვევამდელს ავალებს დაუყოვნებლივ შეუდგეს სამხედრო ხელოვნების დაუფლებას, მაქსიმალურად გამოიყენოს გაწვევამდე დარჩენილი დრო საუკეთესო მომზადებისათვის, თითოეული წვევამდელი საწარმოში და ყოფაცხოვრებაში უნდა იძლეოდეს საბჭოთა პატრიოტიზმის, დისციპლინის, სიმტკიცის, სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულის მაგალითს“.

სტალინის რაიონის წვევამდელებმა აიღეს ვალდებულებანი შეისწავლონ რუსული ენა, გახდნენ სნაიპერები, ავტომოტომძღოლები, რადისტები და მეკავშირეები, ფაბრიკებსა და ქარხნებში შექმნან წვევამდელთა დამკვრელი ბრიგადები, მოაწყონ წვევამდელებში სამხედრო მომზადების ფრიადოსანთა გამოცდილების ურთიერთგაზიარება და სხვ.

„ამხანაგო წვევამდელებო, — სწერენ დასასრულ შეკრების მონაწილენი, — განიხილეთ თქვენს კრებებზე ჩვენი წერილი, მოემზადეთ წითელი არმიის რიგების შესავსებად. ვიყოთ დიდი ოქტომბრის მონაპოვართა ღირსეული და მტკიცე დამცველები“.

თბილისის სტალინის რაიონის წვევამდელთა შეკრების დავალებით წერილს ხელს აწერენ სამხედრო კომისარი მაიორი ს. გიორგაძე, საქ. ალკკ თბილისის ორჯ. სტალინის რაიკომის მდივანი ამხ. ალანია, წვევამდელები ამხ. შენგელია, ბელეცკი, ბაბლიძე, ჭაბაშვილი, სანგულაშვილი, ადამიანცი, ეპიტაშვილი და ბურცევი.

ადგილობრივი საჰაერო თავდაცვის შემდგომი განმტკიცებისათვის

ამას წინათ თბილისის საბჭოს შენობაში შესდგა ქალაქ თბილისის რაიონული ადგილობრივი საჰაერო თავდაცვის ხელმძღვანელთა და საობიექტო რაზმების მეთაურთა შემადგენლობისა და მოწინავე მებრძოლების საქალაქო კრება, რომელზედაც შეჯამებული იქნა ადგილობრივი საჰაერო თავდაცვის საობიექტო რაზმების საქალაქო შეჯიბრების შედეგები.

მოხსენებით შეჯიბრების შედეგების შესახებ გამოვიდა თბილისის ადგილობრივი საჰაერო თავდაცვის შტაბის უფროსი მაიორი ე. კორძაძე. ამხ. კორძაძემ აღნიშნა ის დიდი მუშაობა, რომელიც ჩაატარეს ადგილობრივმა საჰაერო თავდაცვის ორგანოებმა ობიექტების ფორმირებათა საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების საქმეში. ამ მხრივ საუკეთესო მაჩვენებლებს მიაღწიეს შინსახკომის 1-ლი ობიექტის, 6 ქარხნის, მაუდის ფაბრიკის, თბილისის თბოელექტროცენტრალის, ბამბის ფაბრიკის, კომბინატ „კომუნისტის“ და მრავალი სხვა ობიექტის ადგილობრივმა საჰაერო თავდაცვის რაზმებმა. მაგრამ, — აღნიშნა მომხსენებელმა, — მოწინავე რაზმებთან ერთად ზოგიერთებმა შეჯიბრების დროს ვერ გვიჩვენეს მომზადების სათანადო დონე. საჭიროა, რათა ყოველი ობიექტის ხელმძღვანელმა დაუყოვნებლივ გარდაქმნას მუშაობა და სერიოზული ყურადღება მიაქციოს თავისი ობიექტის საჰაერო თავდაცვის საქმეს.

კრებაზე კამათში გამოვიდნენ შინსახკომის 1-ლი ობიექტის სადეგაზაციო რაზმეულის უფროსი ამხ. ალექსეიანი, თბილისის თბოელექტროცენტრალის უნიტარული რაზმის უფროსი ამხ. შაპოვალოვი, მაუდის ფაბრიკის სადეგაზაციო რაზმეულის უფროსი ამხ. კარდანახიშვილი, კომბინატ „კომუნისტის“ საობიექტო რაზმის პარტრწმუნებული ამხ. ებანოიძე და სხვ. მათ დამსწრეთ გაუზიარეს თავიანთი ობიექტების ადგილობრივი საჰაერო თავდაცვის რაზმების მუშაობის გამოცდილება.

კრებაზე თბილისის ადგილობრივი საჰაერო თავდაცვის გარდამავალი წითელი დროშა და სიგელი გადაეცა შინსახკომის 1-ლი ობიექტის ადგილობრივი საჰაერო თავდაცვის რაზმს, რომელმაც საობიექტო რაზმების შეჯიბრებაში პირველი ადგილი დაიკავა.

უცხოეთის გამოხმაურება წითელი არმიის ნაწილების შეტევაზე სტალინგრადის რაიონში

ა. შ. შტატები

„ჰიტლერმა წააგო 1942 წლის კამპანია რუსეთში“

ნიუ-იორკი, 26 ნოემბერი (საკდესი). ცნობები წითელი არმიის შემდგომ წარმატებათა შესახებ აღფრთოვანებულ გამოძახილს იწვევენ ამერიკულ პრესაში.

იუნაიტედ პრესის სააგენტომ გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც ნათქვამია, რომ ამჟამად დადგა ომის შემობრუნების პუნქტი. „ჰიტლერმა წააგო 1942 წლის კამპანია რუსეთში“.

გაზეთი „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნი“ სწერს: მთელი ბრძოლის უმნიშვნელოვანეს ფაქტს ამჟამად წარმოადგენს რუსების კონტრშეტევა, რომელიც გრძელდება სტალინგრადის რაიონში და ყოველ საათობით ადიდებს საფრთხეს გერმანელთა ყველა პოზიციისათვის სამხრეთში. შესაძლოა გერმანელთა ჯარებს დიდი განადგურება ემუქრება, მაგრამ გერმანელებმა კიდეც რომ მოახერხონ ამის თავიდან აშორება, მათი პოზიციები რუსეთის სამხრეთ-აღმოსავლეთში მაინც ძლიერ შერყეული იქნება. გერმანელებმა ვერ მოახერხეს წითელი არმიის ძლიერების გატეხა, ვოლგისა და ნავთის ხელში ჩაგდება. ამავე დროს ტუნისის მისადგომებზე გაფართოებული ბრძოლები სწარმოებს. ტუნისი ხმელთაშუა ზღვის გასაღებს წარმოადგენს. მოკავშირეთა მიერ ხმელთაშუა ზღვაზე ბატონობის მოპოვება შესაძლებელს ხდის შეტევას სამხრეთი ევროპის წინააღმდეგ. ის ფაქტი, რომ ჰიტლერი დიდ რისკს ეწევა, რათა შეინარჩუნოს ტუნისი, მოწმობს მის შიშს. შესაძლოა, მან უკვე გასწია მეტად დიდი რისკი. თუ რუსებმა მოახერხეს ჰიტლერის არმიების გარშემორტყმა და მოსპობა სამხრეთ რუსეთში, მაშინ ამან შესაძლოა, გამოიწვიოს ღერძის სახელმწიფოთა განადგურება.

თურქეთი

გერმანელები ანგარიშში მოტყუვდნენ

სტამბოლი, 26 ნოემბერი (საკდესი). თურქული გაზეთები კვლავ დიდი სათაურებით ათავსებენ მრავალ ცნობას წითელი არმიის შეტევის განვითარების შესახებ სტალინგრადის რაიონში, უცხოეთის პრესის გამოძახილს, აგრეთვე ფოტოსურათებს, რომლებიც გვიჩვენებენ საომარ ოპერაციებს საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტის სხვადასხვა უბანზე.

გაზეთი „ენი საბახი“ მოწინავე სტატიაში სწერს: „ამიერიდან არავითარი მსჯელობით არ შეიძლება დაიმალოს ის ურყევი ფაქტი, რომ გერმანელები სავსებით მოტყუვდნენ თავიანთს ვარაუდსა და ანგარიშში რუსეთის მიმართ“.

გაზეთი „ვატანი“ აღნიშნავს, რომ „რუსებმა მოიპოვეს სტრატეგიული წარმატებანი და გერმანიის არმია მძიმე მდგომარეობაში ჩააყენეს. გერმანელთა ხანგრძლივი მეცადინეობა ხელთ ეგდოთ სტალინგრადი, ტუაფსე და გროზნო, მეცადინეობა, რაც მძიმე ზარალის ფასად დაუჯდათ, ამაო აღმოჩნდა. ახლა გერმანელები იძულებული არიან უკან დაიხიონ“. ავტორი ფიქრობს, რომ „თუ შეტევა სტალინგრადის რაიონში წარმატებით განვითარდა, მაშინ გერმანელთა დამარცხება შეიძლება გრანდიოზული იქნეს“.

გაზეთი „ლა ტიურკი“ საომარ მიმოხილვაში სწერს: „ბერლინი აღიარებს, რომ გერმანელთა ფრონტი სტალინგრადში გარღვეულია. უნდა ველოდეთ ახალ მნიშვნელოვან ცნობებს უკანდახევის შესახებ“.

ანკარის სასამართლო პაპენზე „თავდასხმის“ საქმის გამო

ანკარა, 25 ნოემბერი (საკდესი). დღეს ანკარის სასამართლოში განახლდა პაპენზე ეგრეთწოდებული თავდასხმის საქმის მოსმენა. უშედეგოდ იქნა დატოვებული პავლოვისა და კორნილოვის მიერ განცხადებული აცილება სასამართლოს შემადგენლობის წინააღმდეგ, რომელმაც გამოიტანა განაჩენი, რაც შემდეგ საკასაციო ინსტანციამ გააუქმა. ბრალდებას მხარს უჭერს პროკურორის იგივე თანაშემწე ქემალ ბორა, რომლის წინააღმდეგაც აგრეთვე განცხადებული იყო აცილება, როგორც მის მიერ, ისევე მოსამართლეების მიერ საქმის პირველი მოსმენისას უფლებრივი ნორმების სერიოზულ დარღვევათა გამო.

ამრიგად, ადგილი აქვს სასამართლოს პრაქტიკაში უჩვეულო ფაქტს: საქმეს, რომელზედაც განაჩენი, სასამართლოს მიერ დაშვებულ არაკანონზომიერებათა გამო გაუქმებულია, ხელმეორედ არჩევს სასამართლოს იგივე შემადგენლობა, რომელიც დამნაშავეა ამ არაკანონზომიერებათა დაშვებაში.

მაგრამ ჟურნალისტები და ხაზოგადოება, რომლებიც სასამართლოს დღევანდელ სხდომაზე გამოცხადდნენ, კიდევ უფრო გასაოცარი ფაქტის მოწმენი გახდნენ: სხდომაზე, თითქოს აქ არაფერიაო, გამოჩნდა პროვოკატორ აბდურახმანის სწორედ ის „ადვოკატი“ ყარაჩაი, რომელიც სასამართლოს მიერ საქმის გარჩევის პირველი სტადიის შემდეგ თურქ ადვოკატთა კოლეგიამ გარიცხა თავისი შემადგენლობიდან, როგორც ისეთი პირი, რომელიც ადვოკატის პრაქტიკას არ ეწევა და რომელსაც კანონით დაწესებული საადვოკატო ბიურო არა აქვს. ამ „ადვოკატმა“, როგორც ცნობილია, სასამართლოს მიერ საქმის პირველი გარჩევის დროს თავის თავს ნება მისცა გამოეყენებინა თურქეთის სასამართლოს ტრიბუნა სსრ კავშირის წინააღმდეგ ისეთი ბინძური, ხულიგნური გალაშქრებისათვის, როგორიც სჩვევია ქუჩურ ფურცლებს ჰიტლერული გერმანიისას, რომლის აგენტებთანაც ეს ვიგინდარა, როგორც გამორკვეულია, მჭიდროდ არის დაკავშირებული. ყარაჩაიმ სასამართლოს აცნობა, რომ იუსტიციის სამინისტროს გადაწყვეტილებით დამცველთა კოლეგიის დადგენილება კოლეგიის შემადგენლობიდან მისი გარიცხვის შესახებ გაუქმებულია და რომ ამიტომ მას განზრახვა აქვს განაგრძოს თავისი მონაწილეობა პროცესში, როგორც აბდურახმანის დამცველმა. პასუხად პავლოვისა და კორნილოვისათვის თავმჯდომარის მიერ მიცემული შეკითხვისა, აქვთ თუ არა მათ რაიმე სათქმელი ყარაჩაის დაშვების შესახებ, პავლოვმა თავისი გაკვირვება გამოსთქვა ამ „ადვოკატის“ სასამართლოში გამოჩენის გამო და მოაგონა სასამართლოს, რომ თავის დროზე თურქულ პრესაში გამოქვეყნებული იყო გენერალური პროკურორის ცნობა, რომ სასამართლოს პროცესზე ყარაჩაის უღირს ქცევასთან დაკავშირებით პროკურატურას იგი ადვოკატთა წოდებიდან გასარიცხად მიაჩნია. პავლოვმა მოაგონა აგრეთვე სასამართლოს, რომ ის და კორნილოვი ჯერ კიდევ სასამართლოს მიერ საქმის პირველი გარჩევის დროს მიაქცევდნენ სასამართლოს ყურადღებას საბჭოთა კავშირისადმი, ფაშისტურ, მტრულ პროპაგანდაზე, რომლითაც ყარაჩაიმ ნება მისცა თავის თავს გამოსულიყო გასამართლებაზე. „ჩვენ ჯერ კიდევ მაშინ განვაცხადეთ პროტესტი ყარაჩაის შეუწყნარებელი ქცევის წინააღმდეგ და ახლაც ჩვენს თვალსაზრისზე ვრჩებით“,— სთქვა პავლოვმა. კორნილოვი შეუერთდა პავლოვის ამ განცხადებას და სთხოვა სასამართლოს არ მისცეს ყარაჩაის შესაძლებლობა გამოიყენოს პროცესი ფაშისტური ცილისწამებისა და პროპაგანდისათვის. სასამართლოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სასამართლო უშვებს ყარაჩაის ამ სხდომაზე, მაგრამ დამატებით შეეკითხება ადვოკატთა კოლეგიას, თუ რა პირობებში მოხდა მისი გარიცხვა, და იმ საკითხის გამო, უკვე აღდგენილია თუ არა იგი ადვოკატის უფლებებში.

ბევრ ჟურნალისტზე, რომლებიც თვალყურს ადევნებენ ამ პროცესს, მეტად უარყოფითი შთაბეჭდილება მოახდინა მთელმა ამ ეპიზოდმა, იმ გარემოებამ, რომ სასამართლოში გამოჩნდა გამომჟღავნებული ცრუადვოკატი, რომელიც თურქეთის იუსტიციის სამინისტროს გადაწყვეტილებას იშველიებს.

სასამართლო შეუდგა მთელი რიგი დოკუმენტების გამოქვეყნებას, რომელთა განხილვაც გათვალისწინებულია საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით.

ანკარა, 25 ნოემბერი (მიღება დაგვიანებულია) (საკდესი). მას შემდეგ, რაც ნებადართულ იქნა სასამართლოს სხდომაში ცრუვექილის ყარაჩაის დაშვება, სასამართლოს თავმჯდომარემ გამოაცხადა, რომ სასამართლოს განზრახვა აქვს შეავსოს ის საპროცესო ხარვეზები, რომელთა მიზეზით საკასაციო სასამართლომ გააუქმა წინათ გამოტანილი განაჩენი. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად, ქვეყნდება ექსპერტ პაიოტის პატაკი, რომლიდანაც ცხადი ხდება, რომ ექსპერტების მიერ დადგენილი ნიშნები იმ კაცისა, რომელიც მოკლულ იქნა „ბომბის“ აფეთქებისას, არსებითად განსხვავდება (ტანადობის, ფერ-ხორცისა და სხვ. ჩათვლით) ომერის ნიშნებისაგან, რომელიც, ბრალდების მონაცემებით, იყო ის პირი, ვინც მოახდინა პაპენზე ვითომ „თავდასხმა“. ექსპერტიზის პატაკში აღნიშნულია აგრეთვე აბნეულობა პაპენის ახსნა-განმარტებაში აფეთქების ადგილისა და გარემოებათა შესახებ.

სასამართლოს თავმჯდომარის წინადადებით, პავლოვმა აზრი გამოსთქვა ექსპერტიზის ამ პატაკის გამო, რომელიც პირველად ქვეყნდება სასამართლოში; მაგრამ, როგორც კი პავლოვი ეხება ამ დოკუმენტის არსებით მხარეს, თავმჯდომარე მკაცრად აწყვეტინებს, სიტყვას ართმევს მას და კიდეც ემუქრება, სასამართლოს დარბაზიდან გაგიყვანთო. პავლოვი დაჟინებით იცავს თავის უფლებას აზრი გამოსთქვას დოკუმენტის არსებითი მხარის შესახებ და ამასთან იმოწმებს თურქეთის საპროცესო კოდექსს, რომელიც ითვალისწინებს, რომ „ბრალდებულს აქვს ხელშეუვალი უფლება ამა თუ იმ დოკუმენტების გამოქვეყნების შემდეგ სასამართლოს მისცეს თავისი შენიშვნები“. პროკურორის მოთხოვნით, რომელიც იმოწმებს იმას, რომ საკასაციო სასამართლომ ვითომ მიუთითა დამატებითი მასალების მხოლოდ გამოქვეყნება და არა მათი განხილვა, სასამართლოს თავმჯდომარე უფლებას ართმევს პავლოვს გამოსთქვას აზრი ექსპერტიზის პატაკის შესახებ.

კორნილოვი თხოულობს გამოწვეულ იქნან სასამართლოში ექსპერტი პაიოტი, აგრეთვე მთელი რიგი პირები, რომლებიც შესძლებენ დაადასტურონ, რომ 1941 წლის სექტემბერში იგი, კორნილოვი სადმე წაუსვლელად იყო ანკარაში და არ შეეძლო ყოფილიყო სტამბოლში, როგორც, ბრალდების სასარგებლოდ, ყალბად უჩვენა ბრალდებულმა პროვოკატორმა სულეიმანმა. კორნილოვი მოითხოვს აგრეთვე გამოწვეულ იქნან სასამართლოში მთელი რიგი სხვა ექსპერტები და მოწმენი, მათ შორის ომერის ნათესავები, მოკლულის პიროვნების შესახებ საკითხის დასაზუსტებლად. კორნილოვი პროტესტს აცხადებს იმის წინააღმდეგ, რომ მას და პავლოვს სასამართლოს მიერ წართმეული აქვთ კანონიერი უფლება გამოსთქვან აზრი სასამართლოში გამოქვეყნებული ექსპერტიზის პატაკის არსებითი მხარის შესახებ. პროკურორი ეწინააღმდეგება კორნილოვის თხოვნას, ამასთან აშკარად ცდილობს ხელი შეუშალოს საქმის არსებითად გადასინჯვას და საქმის ხელმეორედ განხილვა შემოფარგლოს ზოგიერთი ფორმალობის დაცვით.

სასამართლო სათათბიროდ გადის და მალე აცხადებს, რომ კორნილოვისა და პავლოვის მიერ აღძრული ყველა შუამდგომლობა სასამართლოს მიერ უარყოფილია. სასამართლოს შემდეგი სხდომა დანიშნულია 2 დეკემბრისათვის.

საომარი მოქმედება ჩრდილოეთ აფრიკაში

ლონდონი, 27 ნოემბერი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, ავტორიტეტულ წრეებში ფიქრობენ, რომ ტუნისის ჩრდილოეთ ნაწილში თავმოყრილია გერმანელთა 20.000-მდე ჯარისკაცი. გერმანელთა სამიდან ოთხი ათასამდე ჯარისკაცი, რომლებიც გადაყვანილი არიან ტრიპოლიტანიიდან, მომსახურებას უწევს თავდაცვის სანაპირო ხაზს.

პრესის ცნობით, უკანასკნელი რამდენიმე დღის განმავლობაში ბრძოლა სწარმოებს ორი მნიშვნელოვანი კლდეკარისათვის, რომლებიც ბიზერტისა და ტუნისის მისადგომებს წარმოადგენენ. ორივე კლდეკარი მოკავშირეთა ხელშია. მოწინააღმდეგე არაფერს ცდილობს იმისათვის, რომ გამოიჭრას, მაგრამ ისეთი პოზიციები დაიკავა, საიდანაც შეუძლია ხელი შეუშალოს პირველი არმიის ჩრდილო ფლანგს აღმოსავლეთისაკენ წაწევაში. გადარჩენილი ტანკები გერმანელებმა მიწაში ჩაფლეს და ინგლისელთა საარტილერიო პოზიციების დასაშენად იყენებენ. ინგლისელთა ქვემეხებმა უკვე მოსპეს მტრის ტანკების ორი მესამედი.

იმ ნაწილების ამოცანა, რომელთაც კლდეკარები დაიკავეს, ის არის, რომ შეინარჩუნონ ისინი მანამდე, სანამ ბიზერტისა და ტუნისის გასაწმენდად დანიშნული მოკავშირეთა ძალების ძირითადი ნაწილი სავსებით არ იქნება გაშლილი დასარტყმელად.

ავიაციამ 25 ნოემბერს ღამით სასტიკად დაბომბა ტუნისის დოკები. პირდაპირი მოხვედრის შედეგად ცეცხლი გაჩნდა ნავთსაცავებს, სარკინიგზო ნაგებობებს და საქონლის საწყობებს.

ლონდონი, 27 ნოემბერი (საკდესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, პირველმა არმიამ სძლია მტრის შეუპოვარი წინააღმდეგობა და განდევნა იგი მეჯეზ-ელ-ბაბის დასაყრდენი პუნქტიდან, რომელიც ტუნისიდან 30-40 მილზე მდებარეობს.

ავიაცია ძლიერ ეხმარება ტანკებს. ამავე დროს დიდი შენაერთები კვლავ სისტემატურად ესხმიან თავს მტრის აეროდრომებს.

როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, ჰაერში ბატონობისათვის ბრძოლამ ტუნისში განსაკუთრებულ დაძაბულობას მიაღწია. გადაუწყვეტელი დაბომბვის დროს მოკავშირეთა მაშველი ძალები მიდიან ბრძოლის იმ ვიწრო უბანზე, სადაც მალე უნდა გადასწყდეს ბიზერტისა და ტუნისის ბედი.

გერმანელები ცდილობენ რადაც უნდა დაუჯდეთ შეინარჩუნონ კონტროლი ვიწრო სრუტეზე ჩრდილოეთ ტუნისსა და სიცილიას შუა და ამ უბანზე გამოჰყავთ ადამიანთა და მატერიალურ საშუალებათა სულ უფრო მეტი რესურსები.

მიუხედავად წვიმებით გამოწვეული არახელსაყრელი პირობებისა, პირველმა არმიამ ერთი კვირის განმავლობაში 480 კილომეტრზე მეტით წაიწია წინ. მოკავშირეთა მზადება ბიზერტისა და ტუნისის წინააღმდეგ შესტევად მთავრდება. ჯარები განაგრძობენ წინსვლას ტუნისის ჩრდილო-აღმოსავლეთ რაიონში. სწარმოებს სისხლისმღვრელი შეტაკებანი მტრის ავანპოსტებთან. მიუხედავად იმისა, რომ ჰიტლერმა მოახერხა ტუნისში გადაეყვანა თვითმფრინავებისა და ჯარების მნიშვნელოვანი რაოდენობა, მტერი ჯერჯერობით ნაკლებ წინააღმდეგობას ეწევა, ვიდრე მოელოდნენ.

თემთა პალატის წევრები აკრიტიკებენ მოკავშირეთა ურთიერთობას დარლანთან

ლონდონი, 25 ნოემბერი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, პარლამენტის მთელმა რიგმა წევრებმა, მათს რიცხვში ლეიბორისტმა ენიურინ ბივენმა და კონსერვატორმა რობერტ ბუტბიმ, თემთა პალატაში შეიტანეს ენერგიული გამოთქმებით შედგენილი რეზოლუცია, რომელშიც აკრიტიკებენ მოკავშირეთა ურთიერთობას ადმირალ დარლანთან.

„გიორგი მეექვსე“

მეთოთხმეტე საუკუნეში აზიაში გამოჩნდა მრისხანე სარდალი თემურ - ლენგი (1336 წ.—1405 წ.), რომელმაც 1360 წლიდან დაიწყო ომები და თითქმის მთელი აზია დაიპყრო.

თემურ-ლენგი რვაჯერ შემოესია საქართველოს. აქედან 7 შემოსევა მოდის გიორგი VI მეფობაზე (1393 წ.—1407 წ.). თემურ-ლენგის ერთ-ერთი შემოსევა და გიორგი VI მეთაურობით ქართველი ხალხის თავდადებული ბრძოლა თავდამსხმელთა წინააღმდეგ — ამ თემაზეა დაწერილი გრ. აბაშიძის პოემა „გიორგი მეექვსე“. პოეტი, რასაკვირველია, მიზნად არ ისახავს გიორგი VI მეფობის დროში საქართველოს მიერ გაწეული ბრძოლების აღწერას. მას აღებული აქვს მხოლოდ ერთი ეპიზოდი.

გიორგიმ და მასთან შეზრდილმა გვარამ მარგველმა სოფელში ქორწილში ნახეს ლამაზი ქალი ნათია, მკურნალ თურმანიძის ასული. ქალი ორივეს შეუყვარდა, მაგრამ იგი გვარამმა დაისაკუთრა.

გიორგიმ ქალი მონასტერში გაგზავნა, ხოლო გვარამი მოხერხებულად მოიშორა: როცა თემურ-ლენგმა დამორჩილება მოსთხოვა, უარი გვარამ მარგველის პირით შეუთვალა, რადგან იცოდა მრისხანე თემური ელჩს თავს მოსჭრიდა.

თემურ-ლენგმა დასარბევად ჯარი შეუსია საქართველოს სოფლებს. ცეცხლი წაუკიდეს საყდარს, რომელშიაც ნათია იყო. მეფე გაექანა ნათიას გადასარჩენად. ცეცხლი მძვინვარებდა. საყდარში მან დაინახა ცეცხლწაკიდებული ნათია, რომლის გარეთ გამოყვანას ცდილობდა გვარამ მარგველი. ჭერი ჩამოინგრა და ორივე ცეცხლში ჩაიმარხა. მეფემ მუქარით გაიხედა თემურ-ლენგის ბანაკისაკენ,

მერე მოსწია ხმალს ჩაფიქრებით,
დაჰკრა და ისევ სწრაფად ჩაგო
და ღმერთს შეფიცა: „სანამ ვიქნები,
თემური ვმუსრო და ვაჩანაგო!
არ გავძღე მისი ყმა და მორჩილი,
მეტი მივაგო ასჯერ ზიანი!“

ასეთია გრ. აბაშიძის პოემის მოკლე შინაარსი.

პოემა თავდება წარსულთან გაბაასებით, რომელიც ამაღელვებელი მხატვრული სახეებით გამოირჩევა. პოეტი ორგანიულად უკავშირებს წარსულს და აწმყოს, იგი ხედავს დამპყრობთა წინააღმდეგ ქართველი ხალხის გმირული ბრძოლის სიდიადეს და პირისპირ ფაშიზმთან ომში ჩვენს გამარჯვებას უმღერის:

„არ აოხრდება ჩვენი მთა-ბარი,
მზე და ნათელიც არ ჩაგვიქრება:
წინ გვიძღვის დიდი მხედართმთავარი
და გამარჯვება ჩვენი იქნება!“

წიგნი, რომელიც გამოსცა საბლიტგამმა, შეიცავს 74 გვერდს და ღირს 5 მან.

ვ. ნ.

ახალი წიგნები

„სამამულო ომის გმირებს“. „ფედერაციამ“ გამოსცა კარლო კალაძის ლექსების კრებული „სამამულო ომის გმირებს“, რომელშიც მოთავსებულია 12 ლექსი. წიგნი, რომლის რედაქტორია რ. გვეტაძე, შეიცავს 39 გვ. და ღირს 3 მან. 80 კაპ.

„პატარა ნოველები“. ცალკე წიგნად გამოვიდა აკაკი ბელიაშვილის ნოველები სამამულო ომის თემაზე. კრებულში მოთავსებულია: „უმცროსი“, „ორი თამარი“, „მორიელები“, „რეზერვისტის გაფრენა“, „ჩიტუნები“, „იმერლები ზღვასთან“. წიგნი გამოსცა „ფედერაციამ“, შეიცავს 40 გვ. და ღირს 2 მან. 50 კაპ.

29 ნოემბერს, დღის 1 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საქალაქო აგიტპუნქტში (ლენინის ქ., № 41) მოწვეულია რაიაგიტპუნქტების, საწარმოთა და დაწესებულებათა აგიტპუნქტების უფროსთა საერთო-საქალაქო თათბირი აგიტპუნქტების მუშაობის გამოცდილების ურთიერთგაზიარების საკითხზე.

თათბირს, გარდა აგიტპუნქტების უფროსებისა, აუცილებლად უნდა დაესწრონ პარტიის რაიკომების პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებათა გამგეები და პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნები.

ელისაბედ ორბელიანი

25 ნოემბერს გარდაიცვალა მწერალი ქალი ელისაბედ ირაკლის-ასული ორბელიანი.

განსვენებული დაიბადა 1870 წელს ქ. თბილისში. უმაღლესი განათლება მიიღო პარიზში. საქართველოში დაბრუნების შემდეგ განუწყვეტლივ ეწეოდა პედაგოგიურ - ლიტერატურულ მუშაობას. იგი მრავალი წლის განმავლობაში ასწავლიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში უცხო ენებს. მისი ლიტერატურული მუშაობიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია „ვეფხის ტყაოსნის“ თარგმნა ფრანგულ ენაზე. ეხლახან ამავე ნაწარმოების თარგმნა მან დაასრულა ინგლისურ ენაზე.

ელისაბედ ორბელიანმა თარგმნა და დაბეჭდა ფრანგულ ენაზე ლერმონტოვის „დემონი“, რომელსაც წამძღვარებული აქვს ცნობილი ფრანგი მწერლის ფრანსუა კოპეს წინასიტყვაობა. მის მიერ ფრანგულად არის ნათარგმნი ოპერა „აბესალომ და ეთერის“ ტექსტიც.

ელისაბედ ორბელიანი სწერდა ორიგინალურ ნაწარმოებებსაც, მისი ლექსების წიგნი „სახანდარი“ დაიბეჭდა ფრანგულ ენაზე.

განსვენებული სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე განაგრძობდა ნაყოფიერ ლიტერატურულ მუშაობას.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობა.

რკინიგზელთა ცოლების საჩუქარი მებრძოლებს

თბილისისა და გურჯაანის კვანძის რკინიგზელთა დიასახლისებმა და ცოლებმა იკისრეს საკუთარი ძალებით მოქსოვონ თბილი ნივთები და საჩუქრად გაუგზავნონ მამაცი წითელი არმიის მებრძოლებს. შეძენილია 140 კილოგრამი მატყლი მოძრაობის თბილისის განყოფილების თანამშრომელთა შორის შეგროვებული თანხით.

თბილი ნივთების მოქსოვა უკვე დაიწყო. უკვე მოქსოვილია პირველი ათეული წინდები, ხელთათმანები და სხვა თბილი ნივთები. დიასახლისმა ამხ. ლავრინსკაიამ მოქსოვა 4 წყვილი წინდა. 4-5 თბილი ნივთი მოქსოვეს დიასახლისებმა ამხ. ჯიქიამ, ჯოხაძემ და სხვ. ამ საპატიო საქმეში ჩაება რკინიგზელთა 50-ზე მეტი ცოლი.

სტალინური კონსტიტუციის დღისათვის საჩუქარი მზად იქნება და გაიგზავნება ფრონტზე. წითელი მებრძოლები მიიღებენ 1.000 წყვილზე მეტ მატყლის ხელთათმანსა და წინდას, 200 ფლანელის პერანგს და სხვა თბილ ნივთებს. (საქდესი).

თეატრებში

29 ნოემბერს: საოპერო — დღისით — „რიგოლეტო“, საღამოს — „აბესალომ და ეთერი“. რუსთაველის სახელობის — დღისით და საღამოს — „ოლეკო დუნდიჩ“. მარჯანიშვილის სახელობის—დღისით — „მეფე ერეკლე“, საღამოს — „პარტიზანები“. გრიბოედოვის სახელობის—დღისით და საღამოს—„თივა და ავი ძაღლი“. სომხური თეატრი—დღისით და საღამოს—„რუსი ადამიანები“. ახუნდოვის სახელობის—დღისით და საღამოს — „ფარჰად და შირინი“. მუსიკალური კომედიის—დღისით და საღამოს—„არშინ-მალ-ალან“, სანკულტურის—„ვერბიცკის ცდები“. მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი—დღისით—„ბროლის სასახლე“, საღამოს—„რომეო და ჯულიეტა“. მოზარდ მაყურებელთა რუსული თეატრი — „დღისით—„გაქცევა“, საღამოს — საესტრადო პროგრამა.

კინოებში

რუსთაველის სახ. — „ჭაბუკი ჩვენი ქალაქიდან“, ოქტომბერი—„მასკარადი“, დამკვრელი — „გიორგი სააკაძე“, კომკავშირელი — „სამი ამხანაგი“, სპარტაკი—„რუსლან და ლუდმილა“, ლუქსემბურგის სახ. — „მშვენიერი ვასილისა“, კომინტერნი — „საბრძოლო კინოკრებული № 12“, 26 კომ. სახ.—„კორზინკინას თავგადასავალი“ და „საქართველოს XI - XII საუკუნეების ძეგლები“. მეცნიერება და ცოდნა—„წითელი ეშმაკუნები“.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი აცხადებს,

რომ ა. წ. 9 დეკემბერს, დღის 2 საათზე, მედინსტიტუტის აუდიტორიაში (მელიქიშვილის ქ. № 16) შესდგება ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომა, რომელზეც ექიმი **ვახტანგ გრიგოლის-ძე გოგიბედაშვილი** მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„მასალები ნიკოტინის გავლენის შესახებ სისხლის მილებზე“.**

ოფიციალურ ოპონენტებად დანიშნული არიან მეცნ. დამსახ. მოღვაწე პროფ. ნიკ. ყიფშიძე და პროფ. ირ. ტატიშვილი.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება მედინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (მელიქიშვილის ქ. № 16).

დირექცია

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმი იუწყება, რომ გარდაიცვალა მწერალი
ელისაბედ ორბელიანი
გამოსვენება 28/XI, საღ. 6 ს. მელიქიშვილის ქ. № 11, დაკრძალვა ვაკის სასაფლაოს მწერალთა პანთეონში.

ა.-კ. რკინიგზის ტრესტ „ტრანსტორგპიტის“ სავაჭრო-შემსყიდველი ბაზა იუწყება თანამშრომელ
მარკოზ ყარამანის-ძე ანთიძის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 28/XI, 6 ს. ძნელაძის ქ. № 38. დაკრძალვა 29/XI, 2 ს. ვაკის სასაფლაოზე. 1544

ა.-კ. რკინიგზის თბილისის ქალაქის სადგურის კოლექტივი იუწყება რაფიელ კოროშინაძის შვილის
ვივი კოროშინაძის
გარდაცვალებას. გამოსვენება 29/XI, 4 ს. ქუთათელაძის ქ. № 22, დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 1552

ძმები კირილე, იასონი, ვარლამი, დები ქსენია, პარასკევა, ციცუ, მამიდა ტასო, რძლები ქსენია, ანგელინა, ძმისშვილები კარლო, დევისი, ლონია ბეჟვაიები იუწყებიან
ლენა ბეჟვაია-გოროზიას
გარდაცვალებას. დაკრძალვა სოფ. დიდი-ჭყონში (გეგეჭკორის რაიონი).

სამედიცინო ინსტიტუტის მე-2 ჰოსპიტალური თერაპიის კლინიკის და № ჰოსპიტლის თერაპიული განყოფილების თანამშრომლები იუწყებიან ამავე კლინიკის ექიმის ქეთევან ბეგიაშვილის დის
თინა ნაცვლიშვილი-ვატნიკის
გარდაცვალებას.

სპილენძის სატკეცი ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივი იუწყება, რომ 29/XI, 1 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია ქარხნის დირექტორის შვილის
გურამ კლიმენტის-ძე მაღლაკელიძის
სამოქალაქო პანაშვიდი. 1406

საქ. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ზოგადი ქიმიის კათედრა იუწყება ასისტენტ თამარ წერეთლის დის
ანა იოსების-ასულ წერეთელი-ნიკოლაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. ქუთაისში. 1541

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის მე-5 კურსის სტუდენტები იუწყებიან, რომ 29/XI სოფ. დვაბზუში (მახარაძის რაიონი) დანიშნულია ამავე კურსის სტუდენტ ანიკო ღლონტის დის, მასწავლებელ
ლამარა პორფილეს-ასულ ღლონტი-მენაბდის
სამოქალაქო პანაშვიდი. 1542

საქ. ჯანსახკომის I ვენდისპანსერის თანამშრომლები და ადმინისტრაცია იუწყებიან ექიმ
აკაკი დავითის-ძე მეძმარიაშვილის
გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. ქუთაისში 29/XI. 1543

ქალაქის მე-2 სამშობიარო სახლის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივი იუწყება, რომ 29/XI, 2 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია ექიმ ელისაბედ ბერიშვილი-პატეიშვილის შვილის
ნონას
სამოქალაქო პანაშვიდი. 1545

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორჯ. ორჯონიკიძის სახ. რაიკომის ადგილკომი იუწყება რაიკომის ყოფილი თანამშრომლის ზინა ვარდიაშვილის მამის
სიმონ ვარდიაშვილის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 29/XI, სოფ. ანაგაში (სიღნაღის რაიონი). 1546

საქართველოს სამხედრო კომისარიატის თანამშრომლები იუწყებიან
ბაგრატ ბესარიონის-ძე დარჯანიას
გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. ცხაკაიაში 1/XII, საკალანდარაშვილოს სასაფლაოზე. 1547

რკინიგზის მე-6 სკოლის ადმინისტრაცია იუწყება, რომ 29/XI, 3 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია მასწავლებელ გალინა უკლებას ძმის
პავლე მეთოდეს-ძე უკლებას
სამოქალაქო პანაშვიდი. 1548

საქ. სსრ შინსახკომის თელავის რაიგანყოფილების მუშაკები იუწყებიან
ტრიფონ მიხეილის-ძე ჭელიძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 29/XI, დღის 3 ს. გამოსვენება ქუთაისის ქ. № 21.

თელავის ციხის მუშაკები იუწყებიან
ტრიფონ მიხეილის-ძე ჭელიძის
გარდაცვალებას. 1549

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28.

უე 11067